# სარბიელი

სპორტული გაზეთი | გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან | სამშაბათი, 24 თებერვალი | 1998 №27 (562) | ფასი 40 თეთრი


## გუცაევი ხელისუფლების იმედად

### საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ვლადიმერ გუცაევმა ყოველი მნიშვნელოვანი მოვლენის შემდეგ პრესკონფერენციის გამართვა წესად აქცია



ბადრი [illegible] ფოტო

საქართველოს ნაკრების ახალი მწვრთნელი და ახალი პრეს-ატაშე

#### ნაკრების პირველი ატაშე

კარგია, თანაც ძალიან — მგონი, ნელ-ნელა ცივილიზებულ ურთიერთობებს ვუახლოვდებით. ვლადიმერ გუცაევი ეროვნული გუნდის მწვრთნელად სულ ორიოდე თვის წინ დაამტკიცეს და უკვე მეორედ მიგვიწვია საპრესკონფერენციოდ. საუბარში კი არაერთხელ აღნიშნა, შევიკრიბოთ, ორკვირაში ერთხელ მაინც გავუზიაროთ ერთმანეთს აზრი, ამით უფრო მოვიგებთო. გუშინაც ასე გახლდათ: ნაკრების პირველმა პრეს-ატაშემ, დავით ბერიაშვილმა გვითხრა, ორშაბათს, ნაშუადღევს გუცაევი პრესკონფერენციას მართავსო. საუბრის თემა, რასაკვირველია, ოსლოში შემდგარი შესარჩევი თამაშების კალენდარი იყო, თუმცა მწვრთნელმა სხვაც არანაკლებ საინტერესო თქვა.

#### დიდი და პატარა რუსეთი

უკვე გადაწყვეტილია — 20-დან 22 აპრილის ჩათვლით ირანს მივემგზავრებით საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად. ჩვენს გარდა, მასპინძლები, უნგრელები და ირლანდიელები ითამაშებენ, თუმცა ირლანდიელთა მონაწილეობა სათუოა და ამიტომ მეოთხე გუნდის ვინაობა ჯერჯერობით დაუზუსტებელია. მართალია, ტურნირი ოლიმპიური სისტემით მხოლოდ ნახევარფინალებსა და ფინალებს ითვალისწინებს, მაგრამ ეს რა თქმა უნდა, მაინც წაგვადგება, თუნდაც იმიტომ, რომ ერთი გამოძახებით ორ მატჩს ჩავატარებთ, შემადგენლობაც უფრო სტაბილური გახდება და შეთამაშდება. გარდა ამისა, აუცილებლად ვითამაშებთ რუსებთან 30 მაისს. უკრაინის ფეხბურთის ფედერაციაშიც გავგზავნეთ მოწვევა, უქმეს დაგენილ დღეებს — 24-25 მარტს, ანაც 6-7 ივნისს ვთავაზობთ თბილისში სათამაშოდ. პასუხს დღეს ველით (ამის დასაზუსტებლად საღამოს ათის ნახევრისთვის დავრეკეთ ფედერაციაში, როგორც გვითხრეს, პასუხი არ მიუღიათ კ. ი.). სხვათა შორის, უკრაინელთა მწვრთნელი ისევ იოზეფ საბოა, ლობანოვსკი, უბრალოდ, ყველა ნაკრების კოორდინატორად გაამწესეს. ჩვენთან თამაშის სურვილი გამოთქვეს ბელგიელებმაც — ბრიუსელში გავეჯიბროთ ერთმანეთსო. ჯერ ეს არის, მაგრამ მსურს, შესარჩევების დაწყებამდე ერთი ამხანაგურიც გავახერხო. აზერბაიჯანელებმა გვითხრეს, განჯაში ვითამაშოთო. დავთანხმდით, ოღონდ საამისოდ ლეგიონერების გამოძახებას მოვერიდებით, უფრო შესაძლო კანდიდატებს მოვიწვევთ. იუგოსლავიელებთან მოლაპარაკება კი დროებით შეჩერებულია, ჩემი აზრით, რუსეთი და უკრაინა სჯობს, ამათი ფეხბურთი უფრო ჰგავს ჩვენი მეტოქეების თამაშის სტილს.

#### ვეღარ დაგვემალებით

ჩემი მწვრთნელად დანიშვნისას, პირველი, რაზეც ფედერაციის მუშაკებთან მოვილაპარაკე, ის გახლდათ, რომ ლეგიონერთა თამაშების ხილვის მაქსიმალური შესაძლებლობა მომცემოდა. ამ მხრივ არანაირი შეზღუდვა არ იქნება. ყველა ფეხბურთელს, ვისაც საჭიროდ მივიჩნევ, საქმეში ვნახავ. მაგალითისთვის გეტყვით, საფრანგეთში მსოფლიოს ჩემპიონატზე დასწრებას ვაპირებ, ნორვეგიელებზე წარმოდგენა რომ შემექმნას. ზოგადად კი ვიცი, ძალისმიერ ფეხბურთს თამაშობენ, თავით იბრძვიან და ბევრს დარბიან, მაგრამ ნამდვილად წაგვადგება ნორვეგიელთა ოფიციალური, თანაც მსოფლიოს ჩემპიონატზე ნათამაშევი მატჩების ხილვა. იქ უკვე აღარაფერს დამალავენ.

#### უსარგებლო რეფორმა

არა მგონია, საბერძნეთის ნაკრების მწვრთნელად ანგელ იორდანესკუს დანიშვნა ჩვენთვის სასარგებლო გამოდგეს. მისი მიღწევები უჩემოდაც კარგად იცით, რუმინეთის ნაკრები სამჯერ ათამაშა ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატებზე. კი, ვიცნობ, ვმეგობრობთ, ერთადაც ვმუშაობდით, მაგრამ თამაშებისას ყველაფერი მეორეხარისხოვანი იქნება. იორდანესკუ, უდავოდ, ძალიან ძლიერი სპეციალისტია.

#### ჩარი შეშის ჩაის

ადრე არაერთხელ მითქვამს — ნაკრები მცხეთაში ივარჯიშებს. საუკეთესო მინდორია, გასახდელები, შხაპი, მოკლედ, კარგი პირობები, თანაც მცხეთაა, ფსიქოლოგიურად ესეც დაგვეხმარება. შესაძლოა, კრწანისში დავბინავდეთ, ან სასტუმრო „შერატონში" ოღონდ აუცილებლად ხელისუფლების დახმარებაა საჭირო, მცირე შეღავათი ჩვენთვის ბევრს ნიშნავს. ფეხბურთელებს ისეთი პირობები უნდა შევუქმნათ, რომ მერე საპრეტენზიო არაფერი ჰქონდეთ, ჩაი თუ ვერ დავალევინეთ, სასაყვედუროც ექნებათ და თავის გასამართლებელი მიზეზიც. გეტყვიან, საჭმელს არ გვაჭმევს, დამტვრეულ ლოგინში გვაძინებ, რომელ შედეგზე გველაპარაკებიო. ამიტომაც ვამბობ, კარგი პირობები სჭირდებათ-მეთქი. პარადოქსულიც კია, ადრე ჩამოსული გუნდები უკეთესად ისვენებდნენ, ვიდრე ჩვენ. „შერატონში" იდეალურად ცხოვრობდნენ, საქართველოს ნაკრებს კი ხანდახან შუქი არ ჰქონდა, ბიჭები ჩაის შეშაზე ადუღებდნენ.

ყველაზე მთავარი ის არის, რომ ნაკრების წევრებიც ყაბულს არიან, ამბობენ, ევროპული გუნდების მსგავსად, ჩვენც სასტუმროში ცხოვრება გვირჩევნიაო.

#### სამშობლო უპირველეს ყოვლისა

როცა ფეხბურთელს სანაკრებო შეკრებაზე გამოვიძახებთ, მას ეცოდინება, რა რაოდენობის თანხა ეკუთვნის. ძირითად პრემიებს კი, ვიმეორებ, ნაკრების წევრები მხოლოდ ფინალურ ეტაპზე გასვლის შემთხვევაში მიიღებენ, რაღა თქმა უნდა, დამსახურების მიხედვით. გარწმუნებთ, გაცემული თანხა ჩვენი დუხჭირი ცხოვრების კვალობაზე ძალიან დიდი ოდენობისა იქნება. იმედი მაქვს, ფეხბურთელებს მთავრობაც დააინტერესებს, ნაკრების თამაში გუცაევის ანაც რომელიმე ფეხბურთელის კი არა, პირველ ყოვლისა, ჩვენი ქვეყნის სახელია.

#### სელექცია

ცხადაძის იმედი კიდევ მაქვს. გამოცდილი ფეხბურთელია და თუ მოთხოვნებს უპასუხებს, ნაკრებში აუცილებლად გამოვიძახებთ. დაცვის თამაშმა არ დამაკმაყოფილა. მალტაზე მყოფი გუნდები, დამეთანხმებით, საშუალო ევროპულზე დაბალი დონისანი არიან, ჰოდა, როცა მათთან შეხვედრებისას გაგვიჩნდა პრობლემები, ეჭვი არაა, სხვებთან მეტად გაგვიჭირდება. ნაკრების ყველაზე დიდი საზრუნავი სწორედ დაცვაა, ამხანაგური მატჩებიც ამად გვჭირდება, 5 სექტემბრამდე სტაბილური დაცვითი რგოლი უნდა შევქმნათ. მნიშვნელობა არა აქვს, ცხადაძე იქნება, შელია თუ სხვა. ვინც ითამაშებს, ყველას გამოვიძახებთ. ფეხბურთელები მრავლად არიან, მათი შერჩევაა მთავარი.

#### თუ ქვეყანა არ დაიქცა

ყაველაშვილი ადრე ფორვარდი იყო. მიზეზთა გამო იგი ისეთ პოზიციაზე თამაშობდა, ნახევარი საქართველო ვერ გაერკვია, რომელ ამპლუაში ირჯებოდა. ვეცდები, თავდამსხმელად გამოვიყენოთ. თუმცა, თუ ქვეყანა დაიქცა და აუცილებლობამ მოითხოვა, სხვაგანაც გავამწესებთ.

#### ბედი ისეთი რამაა...

მარჯვენა ჰავბეკის პოზიციაზე არჩევანი გვაქვს: ქეცბაია, ჯამარაული, სხვა კანდიდატებიც არიან. ასევეა მარცხნივ. გოგიჩაიშვილზე კი იგივეს გეტყვით, რაც ცხადაძეზე მოგახსენეთ. ითამაშოს, ჩვენი მოთხოვნები დააკმაყოფილოს და უეჭველად გამოვიძახებთ. ყველა ფეხბურთელმა თავად უნდა განსაზღვროს თავისი ბედი.

#### ფული ნორვეგიასაც ანათებს

ჯერჯერობით ნაკრებს სპონსორი არ ჰყავს. ლაპარაკია „დიადორაზე", შეპირებულნიც არიან, ჩაგაცმევთ, დაგახურავთ, შეკრებებს დაგიფინანსებთო, მაგრამ კონკრეტული არაფერია. წარმოიდგინეთ, ჩვენ არავინ გვეხმარება, ნორვეგიას კი 16 უდიდესი შესაძლებლობის ფირმა სპონსორობს. ისე არ გაიგოთ, თითქოს თექვსმეტივე ეროვნულზეა მიმაგრებული, ყველა ასაკობრივ და ქალთა სამ ნაკრებს ვგულისხმობ. თითოეული მათგანი, ყველაზე ცოტა, წლიურ 500 ათასს შვეიცარიულ ფრანკს ხარჯავს. ნორვეგიის ფეხბურთის ბიუჯეტი, დაახლოებით 65 მილიონი დოლარია. ასეთ ფინანსურად უზრუნველყოფილ ქვეყანასთან გვიხდება ბრძოლა. დარწმუნებული ვარ, მთავრობამ ფეხბურთში ფულის ჩამდებ ფირმებს საგადასახადო შეღავათი რომ მისცეს, მეტად ვიხეირებთ. საქართველოში ბევრია ფეხბურთის მოყვარული. ხელისუფლებასთან შეხვედრისას ამ საკითხის დაყენებასაც ვაპირებთ.

*პრესკონფერენციაც აქ დასრულდა. დანარჩენი „სარბიელში" ადრეც დაიწერა.*

**კობა ინასარიძე**

---

II წრე

## ჩვიდმეტ დღეში საქართველოს ჩემპიონატი განახლდება

### მომავალ პარასკევს კი საქართველოს თასის მეოთხედფინალია

| XVI ტური |
| --- |
| 13 მარტი, პარასკევი |
| ლოკომოტივი - ტორპედო |
| 14 მარტი, შაბათი |
| თსუ - კოლხეთი |
| გურია - მერანი |
| მეტალურგი - დინამო |
| სამგურალი - დილა |
| მორკინალი - მარგვეთი |
| მაღაროელი - ოდიში |
| სიონი - ბათუმი |

| საქართველოს თასი |
| --- |
| პირველი მეოთხედფინალური მატჩები |
| 6 მარტი, პარასკევი |
| კოლხეთი *ხობი* - ბათუმი |
| კოლხეთი *ფოთი* - თსუ |
| იბერია - დინამო |
| დილა - მაღაროელი |

სრული კალენდარი იხილეთ მეორე გვერდზე

---

## რუსეთის არმია არც ისე საშიშია

### ხვალ საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები ვენტსპილსში ლატვიას ეთამაშება

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების წინ საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებმა მოსკოვში შეკრებაც გამართა და ამხანაგური მატჩებიც.

21 თებერვალს მოსკოვის „ხიმკისთან" მატჩის პირველი ტაიმი ჩვენებმა 20 ქულით მოიგეს. მეტოქე ძალიან სუსტი აღმოჩნდა და მატჩმა საბოლოოდ ფორმალურ-საწვრთნელი ხასიათი მიიღო — ანგარიში აღარც დაუთვლიათ.

გაცილებით სასარგებლო იყო ჩვენი ნაკრებისთვის გუშინდელი მატჩი მოსკოვის ცესკასთან, ევროპაში აღიარებულ გუნდთან. მოსკოველები ჩვენებთან უძლიერესი შემადგენლობით გამოვიდნენ თავიანთი ლიდერების ტიხონენკოსა და ამერიკელი უების თავკაცობით. გუნდს აკლდა მხოლოდ გუნდარს ვეტრა, რომელიც უკვე ერთი თვეა არ თამაშობს ფეხის ტრავმის გამო. საქართველოს ნაკრებს ზედ მატჩის წინ პირდაპირ აეროპორტიდან შეუერთდნენ ვლადიმერ სტეფანია სლოვენიიდან და ირაკლი ვაშაკიძე, რომელიც თავის გუნდ მოსკოვის „სპარტაკთან" ერთად სამხრეთ კორეიდან დაბრუნდა. რაც შეეხება ვახტანგ ნაცვლიშვილს, იგი პორტუგალიიდან შეეხმიანა ჩვენი ნაკრების ხელმძღვანელობას. ვატოს პორტუგალიაში გასინჯვისას ფეხი უტკენია და, ძალიან კი სურს, მაგრამ შეიძლება ლატვიაშიც ვერ ჩავიდეს სათამაშოდ. ამ ყოველივეს მიუხედავად ჩვენმა გუნდმა ცესკას დარბაზში არცთუ ურიგოდ ითამაშა და პირველი ტაიმი მხოლოდ სამი ქულით დათმო. ბრძოლა მეორე ტაიმშიც დაძაბული იყო და საბოლოოდ ჩვენებმა 68:76 წააგეს. აღსანიშნავია, რომ წინა დღეს არმიელებმა რუსეთის ჩემპიონატში ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბი, ევროთასის მეოთხედფინალისტი სამარის გუნდი დაასამარეს 64:44. საქართველოს ნაკრებში ყველაზე შედეგიანი იყო ირაკლი ხოშტარია, რომელმაც თავისიანებს 19 ქულა მოუპოვა. მგზავრობით დაღლილმა ირაკლი ვაშაკიძემ მცირე ხანს დაჰყო მოედანზე, უფრო ცოტა — სლოვენიიდან ჩამოფრენილმა ვლადიმერ სტეფანიამ. ჩვენი ნაკრები ძალიან მოეწონა კალათბურთის ცნობილ სპეციალისტს ვლადიმერ გომელსკის, რომელმაც წარმატება გვისურვა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში. რამდენიმე ჩვენი მოთამაშით კი რუსეთის გუნდები დაინტერესდნენ.

დღეს საქართველოს ნაკრები ლატვიას გაემგზავრება, სადაც 25 თებერვალს ვენტსპილსში მასპინძელთა ნაკრებს ეთამაშება. შემდეგ მცირე ხნით დაბრუნდება მოსკოვში, იქიდან კი გაემგზავრება იტალიას, სადაც 28 თებერვალს სიენაში ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორებს შეხვდება.

**ილია მხეიძე**

## მოსკოვამდე ერევანში

18-წლამდელთა თავკაცს, ვახტანგ კოპალეიშვილს ორ ფრონტზე უწევს ბრძოლა. გუნდს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები ხომ ელის, ამას მსოფლიო ახალგაზრდული თამაშებიც მიემატა, მოსკოვში 9-18 ივლისს რომ გაიმართება. თუ შესარჩევ ციკლში მწვრთნელს გარკვეულწილად 1980 წელს დაბადებულთა გამოყენება შეუძლია, მოსკოვში მხოლოდ 1981-წლიანებით მოუხდება გამგზავრება. ასეთია ტურნირის დებულება. ამაში თითქოს უცნაური არაფერია, ჩვენში ამ ასაკის 16 ფეხბურთელი მუდამ მოიძებნება, მაგრამ შარშან პორტუგალიაში მოპოვებულ ევროპის ახალგაზრდული თამაშების ჩემპიონის ტიტულს ხომ გამართლება უნდა. იმ შემადგენლობიდან გუნდში არც ერთი ფეხბურთელი არ დარჩა. ასაკი თავისას ითხოვს, ახალწვეულებს კი გარკვეული გამოცდილების შეძენა არ აწყენთ. სწორედ ამიტომაც დავთანხმდით სომხების მიერ შემოთავაზებულ პირობებს. ადრეც გაუწყეთ, მეზობლები ამხანაგურად გაჯიბრებას გვთავაზობენო. ფეხბურთის ფედერაციამ მათ წერილს დადებითად უპასუხა. სომხები 25 მარტს გვესტუმრებიან თბილისში და ორ თამაშს გამართავენ. თარიღებად 25 და 27 მარტი დაითქვა. სტუმრად აპრილში მოგვიწევს გამგზავრება. 5-ში და 7-ში ერევანში მოვსინჯავთ ძალებს. ვახტანგ კოპალეიშვილმა გვითხრა, ამხანაგურ თამაშებს ორი გუნდით ჩავატარებთ, 80-იანებს 81-იანებიც შეუამხანაგდებიან და ეს მოსკოვისწინა მზადებისთვისაც წაგვადგებაო. მოკლედ, მოსკოვამდე ერევანია.

## ქებაძე კვირას გაერკვევა

ქუთაისის „ტორპედოს" მეპატრონე ბესიკ ჯიქიას თქმით, ბელგიაში მყოფი ლევან ქებაძის საკითხი კვირის ბოლოს გაირკვევა. ქებაძეს თურმე ორი ვარიანტი გააჩნია, ერთი ბელგიური, ერთიც ჰოლანდიური. მისი მომავალი გუნდები თავისი ქვეყნის უმაღლესი ეშელონების წარმომადგენლები არიანო. რაც შეეხება ქებაძის „ანტვერპენში" გადასვლას, თუ ეს ვარიანტი გამოვიდა, მაშინ ალბათ „ტორპედო" ფეხბურთელს გაანათხოვრებს, რადგანაც არ არის გამორიცხული „ანტვერპენმა" უძლიერესთა რიგები დატოვოს და ჩვენებურიც პირველ ლიგაში საბურთაოდ არ გვემეტებაო, გვითხრა „ტორპედოს" ჯიქიამ.

## ლიბერო ტორპედოს დაეწევა

რამდენიმე დღეა, ქუთაისის „ტორპედო" მოსამზადებლად თურქეთს იმყოფება. როგორც შევიტყვეთ, გუნდს თავიდანვე არ გაჰყოლია ლიბერო ვახტანგ თურმანიძე. ფეხბურთელს თურმე საპასპორტო პრობლემები ვერ მოუგვარებია და კლუბსაც მიტომ ჩამორჩენია. როგორც კლუბის მეპატრონე ბესიკ ჯიქიამ გვიხრა, თურმანიძემ უკვე მოაგვარა პრობლემები და „ტორპედოს" დღეს შეუერთდება. შეკრებაზე მყოფი რიონისპირელები ხვალ პირველ საკონტროლო მატჩს თურქეთის ერთ-ერთ მეორელიგელთან გამართავენ, ხოლო პარასკევს ჩვენებურთა სპარინგპარტნიორი უმაღლესლიგელი „ანთალიასპორი" იქნება.

## დარსაძე კვალიფიკაციას იმაღლებს

წრეებს შორის არსებულმა შესვენებამ, როგორც ჩანს, რუსთავის „მეტალურგზე" მეტად ნაყოფიერად იმოქმედა. გუნდში გამოცოცხლება იგრძნობა, მას ახალი ხელმძღვანელობა ჰყავს, მთავარი მწვრთნელიც და ფეხბურთელებიც ახალწვეულნი არიან. გაიოზ დარსაძემ მისთვის სასურველი ფეხბურთელები შემოიკრიბა და გუნდი დროებით თანაშემწეებს დაუტოვა, თავად კი ესპანეთში გაემგზავრა. კატალონიის დედაქალაქში უეფას ეგიდით მწვრთნელთა მორიგი სემინარი ტარდება. რუსთაველთა ახალი თავკაცი ერთადერთია საქართველოში, რომელსაც პროფესიონალი მწვრთნელის ლიცენზია და შესაბამისი დიპლომი აქვს. ახლა დარსაძე თეორიულ ცოდნას უფრო გაიღრმავებს და ბარსელონიდან დაბრუნების შემდეგ ამ ცოდნას „მეტალურგის" ალორძინებას მოახმარს. ვნახოთ, რუსთაველთა გარჯამ ხომ მეორე წრეში ბევრ კითხვას უნდა გასცეს პასუხი.

ამასობაში „მეტალურგმა", დიდი ხნის ძებნის შემდეგ, თავდამსხმელიც იპოვა. „ბათუმიდან" წამოსულმა ჯუბა ჩუხუამ მეორე წრის ჩამთავრება რუსთავში გადაწყვიტა. ჩუხუა უკვე შეიყვანეს კიდეც „მეტალურგის" განაცხადში.



## ბეგი სიხარულიძე გაჭირვების ტალკვესი

ბოლო წლებში ლანჩხუთის „გურიას" საქმეები სულ უკან მიდის. გურულებმა ფინანსურ პრობლემებს ვერაფრით გაართვეს თავი. „გურია" პირველჯგუფელთაგან ერთადერთია, რომელიც სამეორეწრეო სამზადისს ყველაზე გვიან შეუდგა. უფულობით გაბეზრებული ფეხბურთელებიც გარბიან გუნდიდან. მაგალითად ქუთაისელი მეკარე ოთარ ვარდანიძეც გამოდგება. იმერელი გურულებს შემოსწყრა, აქაოდა კუთვნილი არ გადაგიხდიათ და „გურიაშიც" ვერ დავრჩებიო. მეკარე ლანჩხუთიდან გამოიქცა და თავი წყალტუბოს შეაფარა. ახლა ვარდანიძე „სამგურალთან" ერთად ვარჯიშობს და თან ფეხბურთის ფედერაციაში ჩივის, გურულებისგან თავი დამაღწევინეთო. როგორ მორჩება ეს საქმე, არავინ იცის.

ამ orომტრიალში „გურიამ" კიდევ ერთი მწვრთნელი გამოიცვალა. მოგეხსენებათ, სეზონი გია თავაძემ დაიწყო, მისი საქმე მალევე ავთო ნარიაშვილმა გააგრძელა, მაგრამ წრე ისე ჩამთავრდა, ლანჩხუთელები სახიფათო ზონას ვერ გაშორდნენ. კლუბის ხელმძღვანელობამ ნაცად ხერხს მიმართა — ნარიაშვილის ადგილი ბეგი სიხარულიძემ დაიკავა, რომელსაც „გურია" მსგავს სიტუაციებში ბევრჯერ უხსნია.

ბეგი სიხარულიძე IX ჩემპიონატში გუნდის მესამე თავკაცი გახდა, ხოლო „გურია" რიგით მეექვსე კლუბია, მწვრთნელი რომ გამოიცვალა.

# საქართველოს IX ჩემპიონატი პირველი ჯგუფი მეორე წრის კალენდარი

| |
|---|
| ბათუმი |
| გურია ლანჩხუთი |
| დილა გორი |
| დინამო თბილისი |
| თსუ თბილისი |
| კოლხეთი ფოთი |
| ლოკომოტივი თბილისი |
| მარგვეთი ზესტაფონი |
| მაღაროელი ჭიათურა |
| მერანი თბილისი |
| მეტალურგი რუსთავი |
| მორკინალი თბილისი |
| ოდიში ზუგდიდი |
| სამგურალი წყალტუბო |
| სიონი ბოლნისი |
| ტორპედო ქუთაისი |

**XVI ტური**

*13 მარტი, პარასკევი*

ლოკომოტივი : ტორპედო

*14 მარტი, შაბათი*

თსუ : კოლხეთი
გურია : მერანი
მეტალურგი : დინამო
სამგურალი : დილა
მორკინალი : მარგვეთი
მაღაროელი : ოდიში
სიონი : ბათუმი

**XVII ტური**

*18 მარტი, ოთხშაბათი*

დილა : დინამო
ბათუმი : მაღაროელი
ოდიში : ლოკომოტივი
მარგვეთი : სამგურალი
თსუ : მეტალურგი
ტორპედო : გურია
კოლხეთი : სიონი

*19 მარტი, ხუთშაბათი*

მერანი : მორკინალი

**XVIII ტური**

*22 მარტი, კვირა*

ლოკომოტივი : ბათუმი
გურია : ოდიში
მაღაროელი : კოლხეთი
მეტალურგი : დილა
სიონი : თსუ

*23 მარტი, ორშაბათი*

დინამო : მარგვეთი
სამგურალი : მერანი

*24 მარტი, ხუთშაბათი*

მორკინალი : ტორპედო

**XIX ტური**

*28 მარტი, შაბათი*

თსუ : მაღაროელი
კოლხეთი : ლოკომოტივი

*29 მარტი, კვირა*

ოდიში : მორკინალი
სიონი : მეტალურგი
ტორპედო : სამგურალი
მერანი : დინამო
მარგვეთი : დილა
ბათუმი : გურია

**XX ტური**

*1 აპრილი, ოთხშაბათი*

ლოკომოტივი : თსუ

*2 აპრილი, ხუთშაბათი*

მორკინალი : ბათუმი
მეტალურგი : მარგვეთი
დილა : მერანი
სამგურალი : ოდიში
გურია : კოლხეთი
მაღაროელი : სიონი

*3 აპრილი, პარასკევი*

დინამო : ტორპედო

**XXI ტური**

*6 აპრილი, ორშაბათი*

სიონი : ლოკომოტივი
ბათუმი : სამგურალი
კოლხეთი : მორკინალი
მაღაროელი : მეტალურგი
თსუ : გურია

*7 აპრილი, სამშაბათი*

ოდიში : დინამო
ტორპედო : დილა
მერანი : მარგვეთი

**XXII ტური**

*10 აპრილი, პარასკევი*

მორკინალი : თსუ

*11 აპრილი, შაბათი*

გურია : სიონი
მეტალურგი : მერანი
მარგვეთი : ტორპედო
დილა : ოდიში
დინამო : ბათუმი
სამგურალი : კოლხეთი

*12 აპრილი, კვირა*

ლოკომოტივი : მაღაროელი

**XXIII ტური**

*16 აპრილი, ხუთშაბათი*

ლოკომოტივი : მეტალურგი

*17 აპრილი, პარასკევი*

სიონი : მორკინალი
ტორპედო : მერანი
მაღაროელი : გურია
თსუ : სამგურალი
კოლხეთი : დინამო
ბათუმი : დილა
ოდიში : მარგვეთი

**XXIV ტური**

*22 აპრილი, ოთხშაბათი*

გურია : ლოკომოტივი
მეტალურგი : ტორპედო
მარგვეთი : ბათუმი
დილა : კოლხეთი
დინამო : თსუ
სამგურალი : სიონი

*23 აპრილი, ხუთშაბათი*

მორკინალი : მაღაროელი

*24 აპრილი, პარასკევი*

მერანი : ოდიში

**XXV ტური**

*28 აპრილი, სამშაბათი*

ლოკომოტივი : მორკინალი
გურია : მეტალურგი

*29 აპრილი, ოთხშაბათი*

ბათუმი : მერანი
მაღაროელი : სამგურალი
სიონი : დინამო
თსუ : დილა
კოლხეთი : მარგვეთი
ოდიში : ტორპედო

**XXVI ტური**

*2 მაისი, შაბათი*

მორკინალი : გურია

*3 მაისი, კვირა*

სამგურალი : ლოკომოტივი
მეტალურგი : ოდიში
ტორპედო : ბათუმი
მარგვეთი : თსუ
დილა : სიონი
ბათუმი : მაღაროელი

*4 მაისი, ორშაბათი*

მერანი : კოლხეთი

**XXVII ტური**

*7 მაისი, ხუთშაბათი*

გურია : სამგურალი
ბათუმი : ოდიში
მაღაროელი : დილა
ლოკომოტივი : დინამო
სიონი : მარგვეთი

*8 მაისი, პარასკევი*

კოლხეთი : ტორპედო
თსუ : მერანი
მორკინალი : მეტალურგი

**XXVIII ტური**

*12 მაისი, სამშაბათი*

ტორპედო : თსუ
სამგურალი : მორკინალი
მეტალურგი : ბათუმი
ოდიში : კოლხეთი
მერანი : სიონი
მარგვეთი : მაღაროელი
დილა : ლოკომოტივი
დინამო : გურია

**XXIX ტური**

*18 მაისი, ორშაბათი*

მაღაროელი : მერანი
ლოკომოტივი : მარგვეთი
სამგურალი : მეტალურგი
მორკინალი : დინამო
გურია : დილა
სიონი : ტორპედო
თსუ : ოდიში
კოლხეთი : ბათუმი

**XXX ტური**

*22 მაისი, პარასკევი*

მერანი : ლოკომოტივი
ბათუმი : თსუ
მეტალურგი : კოლხეთი
ოდიში : სიონი
ტორპედო : მაღაროელი
მარგვეთი : გურია
დილა : მორკინალი
დინამო : სამგურალი



## საქართველოს თასი

**მეოთხედფინალი**

6 მარტი, პარასკევი
10 მარტი, სამშაბათი

**ნახევარფინალი**

14 აპრილი, სამშაბათი
26 აპრილი, კვირა

**ფინალი**

26 მაისი, სამშაბათი

## ინგლისი

XXVII ტური

### ნიუკასლი 1:1 ლიდსი

**ნიუკასლი:** გივენი, პიუზი (ქეცბაია 86), პისტონე, ბეტი, პაუი, პირსი, ლი, გილესპი (ალბერი 86), სპიდი, ანდერსონი, შირერი

**ლიდსი:** მარტინი, კელი, მოლენაარი, პალე, ჰაალანდი, უეზეროლი, მეიბერი, რიბეირო, კიუელი, ჯიმი, უოლესი

0:1 უოლესი (82), 1:1 ქეცბაია (87)

— უპატიებელი შეცდომის გამო ორი ქულა დავკარგეთ. არადა, მოგება გარანტირებული გვქონდა. რაც იყო, იყო, ვეღარაფერს შეცვლი. მარტინის შეცდომა გულდასაწყვეტია. ასეთი რამ ფეხბურთში ათასში ერთხელ ხდება და სწორედ დღეს იყო ეს იშვიათი შემთხვევა — ლამის იტირა ლიდსელთა გულმოკლულმა მწვრთნელმა ჯორჯ გრემმა.

შეცდომა მართლაც უხეში იყო, მაგრამ მეკარე რომ აცდუნო, ისიც შეხვედრის მიწურულს, ჭკვიანური, დაკვირვებული თამაშია საჭირო. თემურ ქეცბაიაც სწორედ ასე მოიქცა. ამჯერად „ნიუკასლის" ნახევარმცველმა, ვისაც დალგლიში წლეულს რატომღაც მაინცდამაინც არ სწყალობს, „ჩვეული" ბოლო ათი წუთის ნაცვლად მხოლოდ ოთხი წუთი ითამაშა, მაგრამ ამ მცირე დროში მან „ნიუკასლის" გადარჩენისთვის უფრო მეტი გააკეთა, ვიდრე ძირითადში მოთამაშე რამდენიმე ნახევარმცველმა. ერთი წუთიც არ იყო გასული, რაც თემური თამაშში ჩაერთო და უმალ გააყაიმა — მოედნის ნახევარს ოდნავ გადაცილებულ ქეცბაიას თანაგუნდელმა ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი პასი მისცა, თემურმა კი ცრუმოძრაობით ადგილზე მოიტოვა გუნარ ჰალე და შორიდან ძლიერი დარტყმით შეაგდო. გახსოვთ, ალბათ, საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელმა ადრეც ანალოგიურად, ბოლო წუთებზე რომ გადაარჩინა „ნიუკასლი", რა ამბავი ატყდა — იმ მატჩში გუნდს შირერი დაუბრუნდა, მაგრამ ინგლისში ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელის გამოჯანმრთელება ქართველის გოლისგან გამოწვეულმა ემოციებმა დაჩრდილა. შესაძლოა, „სენტ ჯეიმსზ პარკზე" შეკრებილი 40 ათასამდე გულშემატკივარი ახლაც იგივეს ელოდა, მაგრამ ამჯერად გოლს სრულიად საპირისპირო რეაქცია მოჰყვა — გახარებულმა თემურმა გაყაიმება კაცურად აღნიშნა და ზოგიერთივით მოედანზე ხალხური ცეკვა არ გაუჩაღებია.

ისე, კაცმა რომ თქვას, ქეცბაიას დალგლიში მხოლოდ ათი წუთი ათამაშებს და ჩვენებურს მაინც გააქვს გოლი. თქვენ წარმოიდგინეთ, თემურმა მთელი საათნახევარი რომ ითამაშოს, „ნიუკასლი" რა ანგარიშებით მოიგებდა! ეს, ცხადია, ხუმრობით, მაგრამ ამ მატჩმაც ხომ ცხადყო — დალგლიში მას ძირითადში რომ არ აყენებს, ძალიან ცდება. „ნიუკასლი" შოტლანდიელი მწვრთნელის ხელში რატომღაც უსახური, მონოტონური ფეხბურთის თამაშს დაეჩვია, არადა, იმავე დალგლიშის გაწვრთნილი „ლივერპულის", ანაც „ბლექბერნის" მატჩები საამო იყო საცქერლად. ამ ჩემპიონატში, ადრეც ვთქვი, ჩრდილოინგლისელების თამაშს ფეხბურთს ვერ უწოდებ, რადგან იგი მხოლოდ წააგავს მას, ქეცბაია კი, გამოჩნდება თუ არა შემადგენლობაში, „ნიუკასლის" თამაშს აცოცხლებს, თვალსასეიროს ხდის. არ მინდა მიკერძოებაში ჩამითვალოთ, „ნიუკასლი" მხოლოდ ქეცბაიაა-მეთქი, იმას კი არ ვამბობ, მაგრამ ფაქტია, თემურის გამოჩენა თანაგუნდელთ მებრძოლ სულს, რწმენას მატებს, იმას, რითაც ლამაზია ჭეშმარიტად ინგლისური ფეხბურთი.

კონკრეტულად თამაშზე კი ის შეიძლება ითქვას, რომ შეხვედრა, როგორც მოსალოდნელი იყო, სწრაფ ტემპში წარიმართა, ცხადია, მოვლენების ელვისებური ცვალებადობაც სდევდა თან. სახიფათო მომენტებიც იქმნებოდა, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში ფეხბურთელები სცოდავდნენ და ტაბლოზეც 0:0 კარგა ხანს რჩებოდა. მიუხედავად ამისა, გოლები მაინც გავიდა.

ქეცბაიაზე საკმაოდ ითქვა, ახლა თქვენს ყურადღებას უოლესის მართლაც რომ ბრწყინვალე ბურთზე შევაჩერებ. მასპინძელ მცველთა უყურადღებობით მეცხრედ თუ მეათედ ისარგებლა სურინამელმა, მაგრამ ჰოლანდიელობაზე თავის დამდებმა ჯიმი ჰასელბაინკმა და საჯარიმოშივე მყოფ უოლესს უმალ გადააწოდა, მან კი ნახევარბრუნით მეტად ლამაზი გოლი შეაგდო. გივენი უძლური იყო.

გავიდა ოთხი წუთი და დალგლიშმა ქეცბაია შეუშვა. მერე კი...

# სჯობს გვიან ვიდრე ადრე

### ლესტერი 2:0 ჩელსი

**ლესტერი:** არპახედი, სევიჯი (უოლში 25), ჯაპი, პრიორი, ელიოტი, კამარკი (კემპბელი 80), იზეტი, ლენონი, ზაგორაკისი, კოტი (ფენტონი 44), ჰესკი

**ჩელსი:** ხარინი, პეტრესკუ, ლებეფი, კლარკი, დაბერი, ლე სო, დი მატეო, უაიზი, ჰიუზი, ვიალი, ძოლა (ფლო 71)

1:0, 2:0 ჰესკი (2, 88)

...აშშ ამხანაგურ მატჩში ჰოლანდიას მასპინძლობდა. ის შეხვედრა სტუმრებმა ორი ბურთით, მშრალად მოიგეს. რა კავშირი შეიძლება იყოს ოკეანისგაღმა გამართულ რიგით ამხანაგურ შეხვედრასა და ლესტერში ჩატარებულ პრემიერლიგის მორიგ საინტერესო მატჩს შორის? საქმე ისაა, რომ „ლესტერმაც" და „ჩელსიმაც" ძირითადი მეკარეების



AP ნიუკასლიდან

**ნიუკასლი — ლიდსი. შირერის დარტყმას ლიდსელთა კარი ამჯერად კი გადაურჩა, მაგრამ მოგვიანებით ქეცბაიამ მაინც შეაგდო**

— ამერიკელი კეისი კელერისა და ჰოლანდიელი ედ დე გუის გარეშე ითამაშეს, მაგრამ თუ მეკარეთა ცვლილებამ დამხვდურებზე არ იმოქმედა, სტუმრები საკმაოდ აზარალა დე გუის ამერიკის ნაკრებთან არ უთამაშია. მისი აიაქსელი კონკურენტი ვან დე სარი შესანიშნავად გაისარჯა და დე გუიც მხოლოდ სათადარიგოდ დარჩა. ისე, ნაკრებში სავარაუდო თამაშს, ჯობდა, კლუბში დარჩენილიყო, იქნებ გაჭირვებულ „ჩელსის" მიხმარებოდა.

...ვიალის მწვრთნელობით პირველი მატჩის დაწყებამდე ლონდონელთა უკლებლივ ყველა ფეხბურთელმა ახალი მწვრთნელი შამპანურით ადღეგრძელა. საინტერესოა, რა დალიეს ჩელსელებმა ლესტერში ჩასვლამდე ისეთი, რამაც მათ თამაშის უნარი წაართვათ. ინგლისის თასის მფლობელი და რამდენიმე დღის წინ ლიგის თასის ფინალში გასული „ჩელსი" საფეხბურთო გუნდს აღარ ჰგავდა. ფეხბურთელებმა არ იცოდნენ, რა ექნათ, მწვრთნელი ვიალი კი, ზედიზედ მეორედ რომ ირჯებოდა ძირითად შემადგენლობაში, თავისთვის წინ და უკან დაძუნძულებდა.

ვფიქრობ, ძნელი გასახსენებელია, ბოლოს როდის ითამაშა ხარინმა „ჩელსის" ძირითადში. გასულ სეზონში რუდ გულიტი რუსეთის ნაკრების მეკარეს კარის დაცვას იშვიათად ანდობდა, არც ამ სეზონში სწყალობდა ჰოლანდიელი ხარინს. მართალია, ამჯერად ვიალიმ იგი ათამაშა, მაგრამ ეს უფრო დე გუის არყოფნით იყო გამოწვეული, ვიდრე ხარინის პროგრესით. დმიტრისთვის ჩემპიონატში პირველივე მატჩი დანავსული გამოდგა — ლესტერში ხარინის პირველი მოძრაობა ბურთის კარიდან გამოტანა გახლდათ. ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელის, ემილ ჰესკის თავური მისთვის აუღებელი გამოდგა. გაიხსნა ანგარიში და „ლესტერმაც" იძალა. სტუმრებს გაუმართლათ უფრო დიდი სხვაობით რომ არ წააგეს. მასპინძელთა მინიმალური უპირატესობა თითქმის საათნახევარს გაგრძელდა, შემდეგ კი ჰესკიმ ხარინს მეორედ შეასრულებინა არცთუ სასიამოვნო პროცედურა.

...მატჩის შუაში სტუმართა სათადარიგო მარკ ნიკოლსი, სათამაშოთ რომ ითელებოდა, გვერდით მსაჯს წაეკინკლავა და გაძევებას გადაურჩა. სხვათა შორის, „ლესტერი" — „ჩელსის" შეხვედრის არბიტრი პოლ დარკინი გახლდათ, კაცი, რომელმაც გასულ სეზონში, თბილისში „დინამო" — „ლევერკუზენის" შეხვედრა განსაჯა, ზაფხულში კი მსოფლიოს ჩემპიონატზე ინგლისის მსაჯთა ასოციაციას წარადგენს.

### არსენალი 1:0 კრ. პალასი

**არსენალი:** მენინგერი, დიქსონი, ვიეირა, პლატი, ვერნაზა (მაკგიუენი 80), გრიმანდი, აპსონი, ბოა მორტე, კეონი, ანელკა, ჰიუზი

**კრ. პალასი:** მილერი, ედვორთი, გორდონი, რობერტსი, დაიერი (ტატლი 77), ფალერტონი, პრიდარსონი, ისმაილი, როჯერი, სმიტი (ბენტი 67), ბროლინი

1:0 გრიმანდი (49)

მასპინძელთა შემადგენლობის შემხედვარე კაცი იფიქრებდა, „მეთოფეთა" მწვრთნელი არსენ ვენგერი გაგიჟებულა და ეგააო — მეტოქეს ლონდონელებმა ახალგაზრდული შემადგენლობა დაუპირისპირეს, რომელთა შორისაც ექვსი 20 წლისაც არ იყო. „არსენალს" სხვადასხვა მიზეზთა გამო სიმენი, ბოულდი, უინთერბერნი, რაიტი, პარლოუ, პეტი, გარდე, მენდესი, მარშალი, ადამსი, ვრე, ბერხკამპი და ოვერმარსი აკლდნენ. ეს საკმარისი იყო იმისათვის, რომ მასპინძლები ნაადრევად „გაახალგაზრდავებულიყვნენ". სხვათა შორის, ამ ყმაწვილებიდან ერთ-ერთმა, პაოლო ვერნაზამ ლონდონში დარჩენა ამჯობინა „პარმაში" წასვლას. ისე, მას აქამდე „არსენალის" შემადგენლობაში მხოლოდ ერთხელ ეთამაშა, ისიც ლიგის თასზე.

მეტოქენი აქამდე ამ სეზონში ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, თუმცა გრიმანდის გოლამდე მათ ბურთი რაა, ისიც არ გაეტანათ. ისე, სეზონის წინ „მონაკოდან" გადაბარგებული ჟილ გრიმანდისთვის ეს პირველი პრემიერლიგური გოლი გამოდგა.

### მანჩესტერი 2:0 დერბი

**მანჩესტერი:** შმაიხელი, გ. ნევილი, ირვინი (კლეგი 75), პალისტერი, ფ. ნევილი, ბერგი, ბექჰემი, ბატი, კოული (კრუიფი 75), შერინგემი, გიგზი (მაკლეირი 79)

**დერბი:** პოომი, როუეტი, კ. პაუელი, შტიმაცი, დელაპი (უილიამსი 87), კერსლი, ერანიო, დეილი, ბაიანო, სტარიჯი, ვენჩოპი

1:0 გიგზი (18), 2:0 ირვინი (713)

რაც ახალი წელი დაიწყო, მანჩესტერელები ისეთ მეტოქეებთან კარგავდნენ ქულებს, გაოცდებოდით. მართალია, ამჯერად გართულებები თავიდან აიცილეს, მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს მათ კრიზისიდან გამოსვლას, ძნელი სათქმელია. „დერბი", თამამად შეიძლება ითქვას, მარტო გიგზმა დაამარცხა, თუმცა თავად უელსელმა იმდენი ქნა, ტრავმა მიიღო — მეტოქესთან თავგამოდებულმა ბრძოლამ უშედეგოდ არ ჩაიარა და მას შემდეგ, რაც მან ერთი შეაგდო და პენალტსაც გამოჰკრა ხელი, ერთ-ერთი ორთაბრძოლისას ფეხის კუნთი გაიწყვიტა. მალე „მანჩესტერი" ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში „მონაკოს" შეხვდება, გიგზი კი, როგორც ჩანს, პირველ შეხვედრას გამოტოვებს.

### საუთჰემპტონი 3:0 ბლექბერნი

**საუთჰემპტონი:** ჯოუნსი, დოდი, ბენალი, რიჩარდსონი (ჰიუზი 80), დრაიდენი, ლუნდეკვამი, ოსტენსტადი, ჰერსტი, პალმერი, ოუკლი, ლე ტისიე

**ბლექბერნი:** ფლაუერსი, კენა, კროფტი, ჰენდრი, ბრუმსი, ფლიტკროფტი (რიპლი 63), მაკინლი, შერვუდი, გალაჰერი, დალინი (ბიტი 69), დაფი

1:0 ოსტენსტადი (19), 2:0 ჰერსტი (78), 3:0 ოსტენსტადი (88)

მატჩამდე ორიოდ დღით ადრე ბლექბერნელთა დაცვის ერთ-ერთი ბურჯი სტეფან ენჩოსი დაშავდა და დაცვის მთელი სიმძიმე არანაკლებ ძლიერ და გამოცდილ კოლინ ჰენდრის დააწვა, მარტომ კი მეტოქესთან გამკლავება ვერ შეძლო — „ბლექბერნი" ზედიზედ მეორედ განადგურდა. გამოცდილმა ჰოჯსონმა, ვისი შეგირდებიც საკმაო ხანს ჩემპიონობის ერთ-ერთ რეალურ კანდიდატებად ითვლებოდნენ, ენჩოსის ნაცვლად მარლონ ბრუმსი პრემიერლიგაში პირველად ათამაშა, ახალბედა კი საუთჰემპტონელმა თავდამსხმელებმა გააბითურეს და...

### შეფილდი 1:0 ტოტენჰემი

**შეფილდი:** პრესმენი, აზერტონი, ნოლანი, პემბრიჯი (სტეფანოვიჩი 89), ნიუსომი, უოკერი, კარბონე, ჰაიდი, ჰინჩკლიფი, რუდი, დი კანიო

**ტოტენჰემი:** ბაარდსენი, ედინბურგი (დომინგუში 77), ჰაუელსი, კემპბელი, კალდერვუდი, ფოქსი, ნილსენი, არმსტრონგი, კარი, ჟინოლა, ბერტი (ბრეიდი 63)

1:0 დი კანიო (33)

თამაში მძიმედ დაიწყო, თან დასასრულიც არანაკლებ რთული ჰქონდა. შეხვედრას ისეთი პირი უჩანდა, საეჭვო იყო ანგარიში გახსნილიყო, მაგრამ ბევრი იცადა თუ ცოტა, იტალიელმა დი კანიომ სეზონში მორიგი გოლი გაიტანა. მასპინძელთა უპირატესობა ბოლომდე შენარჩუნდა, მაგრამ ბოლოს არმსტრონგის დარტყმული ხარიხას რომ არ მოხვედროდა, ლონდონელი „მამლები" ქულას მაინც მოიპოვებდნენ.

### უიმბლდონი 2:1 ასტონ ვილა

**უიმბლდონი:** სალივანი, ჯოუნსი, ბლეკველი, ტეტჩერი, გეილი (კორტი 74), პერი, ერდლი, ჯაპი (სოლბაკენი 54), იუელი, ფეარი, ლებერნი

**ასტონ ვილა:** ბოზნიჩი, საუთგეიტი, ეჰიოგუ, ტეილორი, იოაკიმი, რაიტი, გრეისონი, შიმეცა, ნელსონი (ბიფელდი 69), კოლიმორი, მილოშევიჩი (ჰენდრი 56)

1:0 იუელი (10), 2:0 ლებერნი (39), 2:1 მილოშევიჩი (41)

მატჩის ტაიმები რადიკალურად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან — პირველი შესანიშნავი იყო, მეორე არაფრად ვარგოდა. დამარცხებულთა ერთობ გაკრიტიკებულმა თავდამსხმელმა სავო მილოშევიჩმა შეხვედრის შემდეგ განაცხადა, ამ დღეებში მთელი გუნდის ყურადღება უეფას თასის მეოთხედფინალისკენ გვქონდა გადატანილი და ამიტომაც წავაგეთო.

### ქოვენთრი 1:0 ბარნსლი

**ქოვენთრი:** ჰედმანი, ბაროუზი, ბრინი, ჰაკერბი, ვილანი, ტელფერი, სოლტვედტი (სტრაჩანი 76), ბოატენგი, ნილსონი, მოლდოვანი (ჰოლი 67), დაბლინი

**ბარნსლი:** უოტსონი, იდენი, შერიდანი (ხრისტოვი 90), მიუზისი, ბოზანჩიჩი, ჯოუნსი, უორდი, მარკშტედი, ფიორტოფტი (ჰენდრი 70), ბალოკი (მარსელი 79), რედფერნი

1:0 დაბლინი (893)

„ქოვენთრიმ" ზედიზედ მეექვსე შეხვედრა მოიგო, ასეთი რამ გუნდს არ ღირსებია. შესაძლოა, რეკორდი არც დამყარებულიყო, მაგრამ სტუმარმა მარკშტედმა მასპინძელთ ხართი ვერ გაუტეხა, საჯარიმოში შეჭრილი დაბლინი დასცა და დაზარალებულს „ქოვენთრის" ისტორიის შექმნაში დაეხმარა.

### ბოლტონი 1:1 ვესტ ჰემი

**ბოლტონი:** ბრენეგენი, კოქსი, ტომპსონი, ტოდი, ფეირკლაფი (გუნლაუგსონი 74), ბერგსონი, პოლოკი, იოჰანსენი, ფრანდსენი, ბლეიკი, ჰოლდსუორსი

**ვესტ ჰემი:** ფორესტი, ანსუორსი, პირსი, ფერდინანდი, ლემპარდი, მონკური, ბერკოვიჩი, ლაზარიდისი, იმპი, ჰარტსონი, სინკლერი

0:1 სინკლერი (65), 1:1 ბლეიკი (86)

ჩემპიონატი ნელ-ნელა დასასრულს უახლოვდება და გასავარდნთა ვინაობაც თანდათან იკვეთება. „ბოლტონი" სავარაუდოდ ერთ-ერთი განწირული იქნება, რადგან საეჭვოა, მისნაირი თამაშით გუნდი ქვეყნის უძლიერესთა შორის სეზონზე დიდხანს დარჩეს.

**ლაშა გოდუაძე**

### პირველი დივიზიონი

#### სვინდონი 1:3 სიტი

**სიტი:** რაიტი, ჯეფ უაიტლი, ბრისკო, შელია (ვიკენსი 44), საიმონსი, ცხადაძე, ჯიმ უაიტლი, ბრაუნი, რასელი (ბრედბერი 62), ქინქლაძე (ბერდსლი 46), როსლერი

0:1 როსლერი (22), 1:1 კოუი (71), 1:2 როსლერი (77), 1:3 ბრედბერი (83)

ჯო როილისთვის მეორე შეხვედრა, გაცილებით შედეგიანი გამოდგა, ვიდრე პირველი. ისე, ნორმალურმა გუნდმა „სვინდონს" შინაც უნდა სძლიოს და გასვლაზეც, მაგრამ მოგეხსენებათ, „სიტი" არანორმალური კლუბია და მათგან ყველაფერია მოსალოდნელი.

რაც შეეხება შელიასა და ქინქლაძის პირველი ტაიმის შემდეგ შეცვლას, ამის მიზეზი ფეხბურთელთა მიკროტრავმები ყოფილა.

## ფეხბურთის რუკასთან



**კვიპროსის** ჩემპიონატის მე-16 ტურის შედეგები: აპოელი — აელ (ლარნაკა) 0:2, ალკი — ენოსისი 1:4, აელ (ლიმასოლი) — აპოპი 2:0, ანაგენისისი — აპოლონი 0:2, ნეა სალამინა — ეთნიკოსი (აჩნა) 0:1, ევაგორასი — ომონია 1:3, ეთნიკოსი (აშა) — ანართოსისი 1:2. ჩემპიონატს 38-38 ქულით ანართოსისი და ომონია ლიდერობენ, მესამეზე კი ჩანს ეთნიკოსია 36 ქულით.

**ალჟირელმა** ნახევარმცველმა მუსა საიბიმ გუშინ ინგლისის პრემიერლიგის კლუბ „ტოტენჰემთან" გააფორმა კონტ-რაქტი. 28 წლის მოთამაშე, რომელსაც „ვალენსიაში" საქმეები აშკარად არ აეწ-ყო, ესპანეთიდან კუნძულზე 2.8 მილიონ დოლარად გადაბარგდა. ფეხბურთელისავე განცხადებით, მას ძალიან სურდა პრემიერლიგაში თამაში და ლონდონუ-რი კლუბის ძირითადში ადგილის დასამკვიდრებლად ყველა ღონეს იხმარს. შესაძლოა, საიბიმ მორიგ ტურში, „ბოლ-ტონის" წინააღმდეგაც ითამაშოს.

**იუგოსლავიაში** ამ შაბათ-კვირას გამართული ბელგრადული დერბი „ცრვენა ზვეზდასა" და „პარტიზანს" შორის იმდენად დაძაბული გამოდგა, რომ ფეხბურთელთა ტრავმების გამო ქვეყნის ნაკრებიც დაზარალდა. 24 თებერვალს, იუგოსლავიელები მარ დელ პლატაში არგენტინას ეთამაშებიან ამხანაგურად. გუნდის მწვრთნელმა სლობოდან ზანტრაჩმა ოკეანისგაღმა გასამგზავრებელი შემადგენლობა რამდენიმე დღის წინ დაასახელა, თუმცა ზემოხსენებულმა თამაშმა გუნდიდან სამი მოთამაშე ამოაგდო — ალექსანდრ კრისტიჩიჩი, პეროცა ოგნიენოვიჩი და ზორან იოვიჩიჩი. ზანტრაჩმა პირველი ორის ნაცვლად დრაჟენ ბოლიჩი და ალექსანდრ იოვიჩი მიიწვია, იოვიჩიჩის შეცვლა კი არ ისურვა.

## იტალია

### სერია B

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სალერნიტანა | 23 | 13 | 8 | 2 | 46:20 | 47 |
| ვენეცია | 23 | 13 | 5 | 5 | 38:21 | 44 |
| კალიარი | 23 | 12 | 8 | 3 | 35:18 | 44 |
| პერუჯა | 23 | 9 | 9 | 5 | 25:23 | 36 |
| ჯენოა | 23 | 10 | 4 | 9 | 35:34 | 34 |
| ტორინო | 23 | 9 | 6 | 8 | 32:29 | 33 |
| რეჯანა | 23 | 9 | 6 | 8 | 19:18 | 33 |
| ფ.ანრია | 23 | 7 | 10 | 6 | 26:25 | 31 |
| ტრევიზო | 23 | 7 | 10 | 6 | 24:23 | 31 |
| ვერონა | 23 | 8 | 6 | 9 | 31:25 | 30 |
| კიევო | 23 | 7 | 8 | 8 | 20:27 | 29 |
| ლუკეზე | 23 | 7 | 7 | 9 | 23:27 | 28 |
| პესკარა | 23 | 7 | 7 | 9 | 26:31 | 28 |
| რეჯინა | 23 | 6 | 9 | 8 | 19:25 | 27 |
| რავენა | 23 | 6 | 8 | 9 | 23:24 | 26 |
| მონცა | 23 | 4 | 13 | 6 | 30:34 | 25 |
| ანკონა | 23 | 5 | 8 | 10 | 27:36 | 23 |
| ფოჯა | 23 | 5 | 7 | 11 | 25:35 | 22 |
| პადოვა | 23 | 4 | 8 | 11 | 16:32 | 20 |
| დი სანგრო | 23 | 2 | 13 | 8 | 25:38 | 19 |

## ესპანეთი

### მეორე დივიზიონი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალავესი | 28 | 15 | 7 | 6 | 33:19 | 52 |
| ესტრემადურა | 28 | 14 | 8 | 6 | 38:27 | 50 |
| ლას პალმასი | 28 | 12 | 13 | 3 | 50:31 | 49 |
| ატლეტიკო | 28 | 12 | 9 | 7 | 44:32 | 45 |
| რაიო | 28 | 12 | 8 | 8 | 33:25 | 44 |
| ვილიარეალი | 28 | 11 | 11 | 6 | 31:29 | 44 |
| ერკულესი | 28 | 12 | 7 | 9 | 38:31 | 43 |
| ლეიდა | 28 | 12 | 7 | 9 | 34:32 | 43 |
| ეიბარი | 28 | 10 | 11 | 7 | 27:18 | 41 |
| ლეგანესი | 28 | 10 | 11 | 7 | 27:27 | 41 |
| სევილია | 28 | 11 | 7 | 10 | 33:29 | 40 |
| ორენსე | 28 | 10 | 9 | 9 | 29:27 | 39 |
| ალბასეტე | 28 | 10 | 8 | 10 | 34:35 | 38 |
| ბადახოსი | 27 | 8 | 12 | 7 | 28:22 | 36 |
| ოსასუნა | 27 | 9 | 7 | 11 | 23:25 | 34 |
| ელჩე | 28 | 7 | 7 | 14 | 32:42 | 28 |
| ნუმანსია | 28 | 6 | 10 | 12 | 18:36 | 28 |
| ტოლედო | 28 | 5 | 12 | 11 | 25:37 | 27 |
| ხაენი | 28 | 5 | 11 | 12 | 24:37 | 26 |
| სერესი | 28 | 4 | 12 | 12 | 16:28 | 24 |
| ლოგრონიესი | 28 | 4 | 11 | 13 | 18:30 | 23 |
| ლევანტე | 28 | 5 | 8 | 15 | 23:39 | 23 |

# არ დაინდოთ ლიდერები

## იტალია

XXII ტური

### პარმა 2:1 ვიჩენცა

პარმა: ბუფონი, ზე მარია, აპოლონი, კანავარო, ბენარივო (მუსი 46), კრიპა, დ. ბაჯო, ფიორე, სტანიჩი, კიეზა, ადაილტონი (ორლანდინი 60)
ვიჩენცა: ბრივიო, მენდესი, მ. კონტე, ვივიანი, ბელოტი, სტოვინი, ძაული, დი კარლო (ბარონიო 78), ამბროზინი, ამბროზეტი (ოტერო 78), დი ნაპოლი
0:1 ამბროზეტი (59), 1:1 სტანიჩი (62), 2:1 კიეზა (72პ)
გაფრთხილება: ზე მარია, ფიორე, ორლანდინი, ამბროზინი

### სამპდორია 0:3 უდინეზე

სამპდორია: ფერონი, ბალერი, ნავა, მიხაილოვიჩი, მუგო, კასტელინი (სალსანი 46), ვერგასოლა, ბოლოსიანი, სკარკილი (ბოიკო 63), სუარესი, სინიორი
უდინეზე: ტურჩი, ძანკი, კალორი, პიერინი, პელეგი, ჯანიკედა, ვალემი, ნავასი (აპია 87), ლოკატელი, პინედა (სტატუტო 81), იორგენსენი (პოჯი 75)
0:1, 0:2 იორგენსენი (35, 62პ), 0:3 სტატუტო (86)
გაფრთხილება: მიხაილოვიჩი, ჯანიკედა, ძანკი

### მილანი 3:1 ემპოლი

მილანი: როსი, დაინო, დესაი, კოსტაკურტა, მალდინი, ბა (ლეონარდო 68), ალბერტინი (კომაცი 72), ბობანი, მაიერ, ვეა (მანიერო 60), განცი
ემპოლი: როკატი, ფუსკო (ბეტელა 53), დ. ბალდინი, ბაინკონი, ამეტრანო (ფლორიანჩიჩი 84), ფიჩინი, მარტუშელო (პანე 74), ბონომი, ტონეტო, კაპელინი, ესპოზიტო
1:0 ვეა (3), 2:0 განცი (15), 2:1 ესპოზიტო (65), 3:1 მანიერო (81)
გაფრთხილება: დაინო, მანიერო, მარტუშელო, ბონომი, კაპელინი
გაძევება: ბობანი (89)

### ბოლონია 3:0 პიაჩენცა

ბოლონია: სტერკელე, პაგანინი, ტორიზი, მანგონე, კარნაშალი, მაროკი, მაგონი, ნერვო, რ. ბაჯო (შალიმოვი 89), კ. ანდერსონი, კოლივანოვი (ფონტოლანი 81)
პიაჩენცა: სერენი, დელი კარი, ვერხოვოდი, მ. როსი, ტრამეცანი, ბუზო (ვალტოლინა 56), ბორდინი (პიოვანი 70), მაცოლა, შიენძა, მურჯიტა, რასტელი (დიონიჯი 56)
1:0, 2:0 კ. ანდერსონი (33, 52), 3:0 რ. ბაჯო (87)
გაფრთხილება: სტერკელე, ტორიზი, მ. როსი

### ფიორენტინა 3:0 იუვენტუსი

ფიორენტინა: ტოლდო, ფალკონე, ფირიკანო, პადალინო, სერენა (ტაროცი 75), კოისი, რუი კოშტა (ბიჯიკა 88), შვარცი, ოლივეირა (რობიატი 65), ბატისტუტა, მორფეო
იუვენტუსი: პერუცი, ბირინდელი, ტაკინარდი, მონტერო, დიმაში, პეკია (ინძაგი 46), ა. კონტე (დეშამპი 36), ტორიჩელი, დევიდსი, ზიდანი, დელ პიერო (ფონსეკა 65)
1:0 ფირიკანო (31), 2:0 ოლივეირა (34), 3:0 რობიატი (78)
გაფრთხილება: ფალკონე, კოისი, დევიდსი, ზიდანი

### ლაციო 3:0 ინტერი

ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო, ნესტა, ლოპესი, ფავალი, ფუზერი (რამბაუდი 86), ვენტურინი, იუგოვიჩი, ნედვედი, ბოკშიჩი (კაზირაგი 67), მანჩინი (გოტარდი 75)
ინტერი: პალიუკა, კოლონეზე, ბერგომი, ფრეზი, მილანეზე, მორიერო, ძანეტი, პაულო სოუზა, კოუ (ზე ელიასი 60), რონალდო, ჯორკაეფი (კანუ 54)
1:0 ფუზერი (25), 2:0 ბოკშიჩი (28), 3:0 კაზირაგი (84)
გაფრთხილება: ნეგრო, ვენტურინი, პაულო სოუზა
გაძევება: მილანეზე (92)

### ბრეშა 2:2 ატალანტა

ბრეშა: ჩერვონე, ა. ფილიპინი, სავინო, კორადო, ადანი, კოზმინსკი, ე. ფილიპინი, იავორჩიჩი (ნერი 72), ბანინი, უბნერი, პირლო
ატალანტა: ფონტანა, კაპიოლი (ძენონი 54), მირკოვიჩი, დუნდიერსკი (როსინი 62), სოტილი, ბონაჩინა, გალო, პიაჩენტინი, სგრო, კაჩა, ლუკარელი (მაგალანესი 54)
1:0, 2:0 უბნერი (12, 55პ), 2:1 როსინი (71), 2:2 მაგალანესი (74)
გაფრთხილება: ე. ფილიპინი, მირკოვიჩი, გალო, ლუკარელი

### ნაპოლი 0:2 რომა

ნაპოლი: ტალიალატელა, მალაფრონტე, ბალდინი, გორეტი, კრასონი, პანარელი (ასანოვიჩი 73), ტურინი, ლონგო, როსიტო, პროტი (სკარლატო 46), ბელუჩი (სტოიაკი 73)
რომა: კონსელი, კაფუ, ძაგო, ალდაირი, კანდელა, ტომაზი, დი ბიაჯო, დი ფრანჩესკო (ვაგნერი 78), გაუტიერი (დელვეკიო 46), ბალბო (პაულო სერჟიო 46), ტოტი
0:1 ტოტი (56), 0:2 დი ბიაჯო (62)
გაფრთხილება: ბალდინი, ლონგო, ძაგო, დი ბიაჯო
გაძევება: როსიტო (44)

### ბარი 2:2 ლეჩე

ბარი: ფ. მანჩინი, დე ასკენტისი, სალა, დე როსა, მანიგეტი, ბრესანი (პარიზი 81), ვოლპი, ინგესონი, დოლი (ალბაკი 73), ძამბროტა, გუერერო
ლეჩე: ლორიერი, ვიალი, საკიჩი, ბელუჩი, როსინი (როსი 46), პიანგერელი, სიპრიენი, გოვედარიცა (კოცა 57), კასალე, დე ფრანჩესკო (იანუცი 65), პალმიერი
1:0 დე ასკენტისი (38), 2:0 ინგესონი (42პ), 2:1 იანუცი (75), 2:2 როსი (90)
კასალემ მე-40 წუთზე ვერ გაიტანა პენალტი.
გაფრთხილება: მანიგეტი, ბრესანი, ბელუჩი, როსინი, პიანგერელი
გაძევება: იანუცი (85), როსი (92)

— ახლა უკვე უეჭველია, რომ „ლაციოსთან“ სიფრთხილე გვმართებს — თქვა „იუვენტუსის“ მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ.

ლიპიმ აღიარა, რომ გასული კვირის შუაში, „ლაციოსთან“ სათასო ნახევარფინალის პირველ მატჩში დამარცხებამ ფლორენციაში ერთგვარად შეცვლილი შემადგენლობის გაყვანა აიძულა. მან ფრანგი ნახევარმცველი დიდიე დეშამპი და თავდამსხმელი ფილიპო ინძაგი თავიდან სათადარიგოთა სკამზე დასვა, მაგრამ თანდათანობით გაირკვა, რომ გუნდის აქილევსის ქუსლი დაცვა ყოფილა. ტურინელებს უკანა ხაზში აკლდათ დაშავებული ჩირო ფერარა და დისკვალიფიცირებული მარკო იულიანო.

სტუმართა კარს პირველი გამოცდა



ლაციო — ინტერი. რონალდო რომაელ მცველებთან ვერას გახდა

AP რომიდან

24-ე წუთზე ჩააბარებინეს. პორტუგალიელმა რუი კოშტამ ანჯელო პერუცის დაბალი დაურტყა, მეკარემ აუღო, ექვსი წუთის შემდეგ კი უმეთვალყურეო ალდო ფირიკანომ თაურით გოლი გაიტანა. კიდევ ოთხი წუთის შემდეგ „იუვენტუსის“ დაცვამ მორიგი მარცხი განიცადა — გაბრიელ ბატისტუტამ საჯარიმოში კარგა გაინავარდა და ლუის ოლივეირას საგოლე პასი დაუგორა.

შესვენებისას ლიპიმ დეშამპი და ინძაგი დამოძღვრა, მათი სკამზე ჯდომით საქმე არ კეთდებოდა და ისინი თამაშში ჩაერთნენ. თუ შედეგად ინიციატივას მივიჩნევთ, მაშინ მათმა მოედანზე შესვლამ შედეგი გამოიღო, ტურინელებმა ძელსაც აძგერეს ბურთი და რამდენჯერმე თავგანწირულმა დაცვამ იხსნა ფლორენციის გუნდის კარი, მაგრამ შედეგი მაინც იმას ეწოდება ტაბლოზე რიცხვებით რომ აისახება.

52-ე წუთზე ალესანდრო დელ პიეროს დარტყმამ „ფიორენტინას“ მეკარე ფრანჩესკო ტოლდო დასცა, მაგრამ ძელს ვერაფერი მოუხერხა, 70-ზე გოლის გამტანი კარის მხსნელად იქცა — ფირიკანომ ზინედინ ზიდანის დარტყმული ბურთი ხაზიდან გამოიტანა...74-ზე ანსელმო რობიატიმ საპირისპირო კარში შეაგდო. ტაბლოზე 3:0 აინთო.

რომის „ოლიმპიურ სტადიონზე“ კი „ლაციომ“ ყველა შეჯიბრების ჯამური შედეგი სეზონში 15 არწაგებულ მატჩამდე აიყვანა. ბოლო წაგება 6 დეკემბრით თარიღდება, მაშინ შვედი მწვრთნელის სვენ გორან ერიკსონის გუნდმა ტურინში „იუვენტუსთან“ წააგო. მას მერე იყო იტალიის ჩემპიონატის, თასისა და უეფას თასის შეხვედრები, მარცხი კი არ ყოფილა.

„ინტერისთვის“ საშინელი კვირა იყო. ჯერ ერთი, რომ ასეთი ანგარიშით ვარსკვლავთა გუნდს ამ სეზონში აქამდე არ წაეგო, ზედაც ის, რომ საფინალო სასტვენის წინ მაურიციო მილანეზე მეორე ყვითლისთვის მოედნიდან გააძევეს.

და მაინც, ერიკსონი სალად მსჯელობდა: — დღეს ძალიან კარგად ვითამაშეთ. განსაკუთრებით პირველ ტაიმში, მაგრამ იღბალმაც ფრიად შეგვიწყო ხელი. ფრანჩესკო მორიერომ ხომ ძელს გაგვირტყა ბურთი. „ინტერს“ ის გოლი რომ გაეტანა, შესაძლოა პრობლემათა წინაშე დავმდგარიყავით. საქმე ის გახლავთ, რომ მილანელები უდავოდ იშტაზე მოვიდოდნენ, ჩვენ კი უკვე დაღლილები ვიყავით.

„ინტერის“ მწვრთნელმა ჯიჯი სიმონიმ შეხვედრას ასეთი კომენტარი გაუკეთა: — ისღა დაგვრჩენია, იმედი ვიქონიოთ, რომ ჩემპიონატის დარჩენილ ნაწილს დაუმარცხებლად გავივლით. საკმაოდ მტკიცე ხასიათისანი გახლავართ საიმისოდ, რომ სტრესს ვძლიოთ და ძალღონე მოვიკრიბოთ.

ერიკსონს ჰკითხეს, როგორი პირი უჩანს, „ლაციო“ 1974 წლის შემდეგ პირველად თუ გახდება იტალიის ჩემპიონიო.

— გარკვეული ხნის მანძილზე საჩემპიონო ამბიციებზე არაფერს ვამბობდით, დღეს ყველაფერი კარგად მიედინება და ჩვენ ყველა შეჯიბრებაში წარმატებით ვაგრძელებთ სვლას. ვიმედოვნებთ, რომ ასევე გავაგრძელებთ. ხელიდან ერთი ტიტულის გაშვებაც კი არ გვსურს — იყო პასუხი.

მორიერო მილანელთა შორის კვლავ საუკეთესო იყო. მან აღიარა, რომ მეტოქემ იგი და მისი თანაგუნდელები პირწმინდად დაამარცხა:

— დღეს იტალიურ ლიგაში „ლაციო“ყველაზე კარგ ფორმაშია. იგი უთუოდ იმსახურებდა გამარჯვებას. რომაელებმა ჩვენზე უკეთ ითამაშეს და რონალდოსა და ჯორკაეფს სივრცეები სრულიად შეუზღუდეს.

„ლაციო“ დიეგო ფუზერმა დააწინაურა. ალენ ბოკშიჩის თაური პასი მოათვინიერა, თავისი მეურვე სალვატორე ფრეზი დაჯაბნა და ბურთი ჯანლუკა პალიუკას დაბლა გაუძვრინა.

რამდენიმე წუთში ფუზერმა ვალი დააბრუნა, ბოკშიჩს მარჯვნიდან აუწია ბურთი და ხორვატმაც ძლიერი თაურით სეზონში მეცხრე გოლი გაიტანა. აღსანიშნავია, რომ „ლაციოში“ „იუვენტუსიდან“ დაბრუნების შემდეგ იგი ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა, მაგრამ ახლა ჩინებულ ფორმაშია. „იუვენტუსთან“ სათასო შეხვედრაში ერთადერთი გოლი მან გაიტანა, „ინტერთან“ თამაშისას კი მეურვე ჯუზეპე ბერგომი ერთობ დატანჯა.

შესვენების შემდეგ იტალიის დედაქალაქის მზიან დარში „ლაციომ“ კიდევ უფრო ლაღად და გამართულად გააგრძელა თამაში. იუგოსლაველი ნახევარმცველი ვლადიმირ იუგოვიჩი მოედნის გულში საუცხოოდ ტრიალებდა, მცველები პაოლო ნეგრო და ალესანდრო ნესტა რონალდოს ჯაჭვად შემორტყმოდნენ, კაპიტანი ჯუზეპე ფავალი კი „ინტერის“ შეტევის მარჯვენა ფრთაზე მორიეროს ღირსეულ წინააღმდეგობას უწევდა. „ლაციოს“ დაწყობილმა პასებმა შედეგი გამოიღო — პიერლუიჯი კაზირაგიმ ფრეზი მოატყუა და მარჯვენა ფეხით პალიუკას მესამედ ჩააქინდრინა თავი.

ლიდერებზე საუბრის შემდეგ რა მოსატანიაო შეიძლება იფიქროთ, მაგრამ „ბარისა“ და „ლეჩეს“ შეხვედრის შესახებ მაინც გვინდა ორიოდ სიტყვის თქმა. ამ თამაშის პირველი ტაიმი მასპინძელთა გამარჯვებით 2:0 დასრულდა, მეორეში კი „ლეჩემ“ ანგარიში გაათანაბრა. მისგან გოლები შესვენების შემდეგ შეცვლაზე შესულმა ფეხბურთელებმა იანუციმ და როსიმ გაიტანეს. შემდეგ იანუციცა და როსიც მოედნიდან გააძევეს.

**პაპუნა ძიდია**

# ტენერიფეს სინდრომი



იუპ ჰაინკესი

**იუპ ჰაინკესს** კოშმარული ორი კვირა დაეწყო. იგი კვლავ მადრიდის „რეალის“ მწვრთნელის თანამდებობას უნდა ჩაეჭიდოს.

„ბარსელონასა“ და ლევერკუზენის „ბაიერთან“ საბედისწერო შეხვედრები ახლოვდება, არადა გუნდს როგორც ჩანს მორიგი კრიზისი უდგას. შაბათს ტენერიფეზე „სამეფო გუნდმა“ საშინელი წუთები გადაიტანა, 3:4 წააგო. კუნძულზე საჩემპიონო ოცნებას კვლავ შეერყა საფუძველი.

შაბათი ამ კვირაშიც მოვა და „რეალი“ „მალიორკას“ უმასპინძლებს. „მალიორკა“ ის გუნდია ბოლო ტურში მეოთხე ადგილზე რომ აცოცდა. შემდეგ, ოთხ დღეში ანუ ხვალ არა და შემდეგ ოთხშაბათს ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალია, მადრიდელები ლევერკუზენს მიემგზავრებიან. იქიდან დაბრუნდებიან სამ დღეში ესპანური სეზონის უდიდესი მატჩი ელით, ისინი „კამპ ნოუზე“ „ბარსელონას“ უნდა დაეჭიდონ.

ჰაინკესზე ზეწოლას ახდენს ის გარემოებაც, რომ კვირას „ბარსელონამ“ „კომპოსტელასთან“ 2:0 გამარჯვებით ცხრილის სათავეში დაიბრუნა ადგილი, თანაც თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული. გაზეთ „სპორტში“ ისიც კი ეწერა გერმანელმა მწვრთნელმა „რეალის“ პრეზიდენტს ლორენსო სანსს განთავისუფლება სთხოვაო. სანსს რომ ჰკითხეს ჰაინკესის შემცვლელს ხომ არ ეძებთო, უპასუხა:

— დღეს, სეზონის ამ მონაკვეთზე ისეთი მწვრთნელის მოძებნა შედეგის გარანტიას რომ მოგვცემს... არა, მწვრთნელის შეცვლა კარგ შედეგს ვერ უზრუნველყოფს.

მეორე გაზეთი „ელ პაისი“ წერდა „მილანისა“ და იტალიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი არიგო საკი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გადმოსვლას სასტიკად უარობსო.

სანსი მომდევნო ორ კვირაზე ფიქრობს: — ჩვენი სეზონი „მალიორკასთან“ „ბარსასთან“ და „ბაიერთან“ თამაშით ნიღაბს ჩამოიხსნის.

მართლაც, მოდი და გაიგე რისი შემძლე ხარ, როდესაც სულ უცნაური შედეგები გაქვს.

— ჩემპიონატი საგიჟეთია, წინ 12 თამაშია და ყველაფერია მოსალოდნელი.

მაგრამ შაბათის წაგებაზე გიჟური რაღა უნდა იყოს. საფინალო სასტვენამდე 6 წუთი რჩებოდა, „რეალი“ კი 3:2-ს იგებდა, თითქოს ყველაფერი დღესავით იყო ნათელი. ექვსი წუთი!

„ტენერიფე“ 10 ფეხბურთელით დარჩენილიყო მოედანზე.

შემდეგ მოხდა ის, რასაც ესპანეთში „ტენერიფეს“ სინდრომი შეარქვეს. სინდრომს 1992 წელს დაედო დასაბამი. მაშინ ჩემპიონატის ბოლო შეხვედრაში „რეალმა“ „ტენერიფესთან“ 2:3 წააგო და შედეგად ჩემპიონი „ბარსელონა“ გახდა. მომდევნო სეზონშიც იგივე განმეორდა იმ განსხვავებით, რომ „რეალმა“ „ტენერიფესთან“ 0:2 წააგო. ჩემპიონი კვლავ „ბარსელონა“ გახდა.

„რეალის“ მაშინდელი შემადგენლობიდან შაბათს მოედანზე მხოლოდ კაპიტანი მანუელ სანჩისი იყო. მან „სამეფო გუნდში“ იმ დღეს 462-ე შეხვედრა ჩაატარა და კარლოს სანტილიანას რეკორდი მოხსნა, მაგრამ...

„რეალმა“ ბოლო ექვს წუთში არათუ ორი გოლი გაუშვა და წააგო, არამედ ორი ფეხბურთელი გაუძევეს კიდეც მოედნიდან. ეს ორი მოთამაშე ფერნანდო რედონდო და თავად სანჩისი გახლდნენ.

თავად ჰაინკესი მშვიდად იყო. ყოველ შემთხვევაში ცდილობდა ასე ყოფილიყო. ან კი ნერვიულობას რა აზრი აქვს.

— წარმოუდგენელია, მაგრამ დავმარცხდით. თამაშის მიწურულს დაცვაში რამდენიმე უხეში შეცდომა მოგვივიდა და ამიტომაც დავისაჯეთ.

თითქმის ოთხი თვეა რაც „რეალს“ სტუმრად თამაში არ მოუგია.

დარჩა 107 დღე

FRANCE 98

# ფუტიქსის დროშით

## დიდი პრემიები და მიზნები

### ბულგარეთი

ბულგარელებმა გერმანული „დოიჩე ბანკიდან“ 1,5 მილიონი მარკა ანუ 822 ათასი დოლარი ისესხეს. ეს თანხა მათ ნაკრების ფეხბურთელებისთვის პრემიების დასარიგებლად სჭირდებათ, ბულგარეთის ეროვნული გუნდი ხომ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავიდა.

— ფული იმიტომ ვისესხეთ, რომ მწვრთნელებსა და მოთამაშეებთან გვინდა ალალმართლები ვიყოთ. ჩვენ მათ გადავუხდით, რასაც დავპირდით — თქვა ქვეყნის საფეხბურთო კავშირის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა მიხაილ კასაბოვმა — ჩვენ ფეხბურთელებზე რაიმე ზეწოლა არ მოგვიხდენია და არც მათგან ყოფილა ბოიკოტთან დაკავშირებული რაიმე მუქარა.

ვიცე-პრეზიდენტის თქმით კრედიტის გარანტად ბულგარული ფეხბურთის ერთ-ერთი სპონსორი, ცნობილი ფირმა „პუმა“ დადგა. კასაბოვი და მისი ორგანიზაცია ვალის გასტუმრებას მაშინვე აპირებენ, როგორც კი ფიფასგან მიიღებენ კუთვნილ ფულს მსოფლიოს პირველობის ფინალურ ეტაპზე მოხვედრისთვის.

კასაბოვმა განაცხადა, რომ 7 ივნისს საფრანგეთს გამგზავრებამდე ბულგარეთის ნაკრებს ოთხი ამხანაგური შეხვედრა აქვს დაგეგმილი. მოსალოდნელია, რომ უცხოურ კლუბებში მოთამაშე წამყვანი ფეხბურთელები ყველა მათგანში ვერ მიიღებენ მონაწილეობას.

პირველი ამხანაგური მატჩი 10 მარტს ბუენოს აირესში არგენტინასთან გაიმართება, 25 მარტს, სკოპიეში კი ბულგარელები მაკედონიელებს გაეჯიბრებიან. კიდევ ორი თამაში ივნისშია დაგეგმილი. 1 ივნისს კაიზერსლაუტერნში გერმანიასთან და 5 ივნისს სოფიაში ალჟირთან.

მოგეხსენებათ, ოთხი წლის წინ ამერიკაში ბულგარელებმა ნახევარფინალს მიაღწიეს. ახლა, საფრანგეთში მათ ძალიან ძლიერი ჯგუფი ელით: ესპანეთი, პარაგვაი და ნიგერია.

კასაბოვის თქმით, ქვეყნის საფეხბურთო კავშირი თავისი ფეხბურთელებისგან შთამბეჭდავ ასპარეზობას ელის.

— იმედი ვიქონიოთ, რომ სულ მცირე ოთხი წლის წინანდელს გავიმეორებთ — დასძინა მან.

### ამხანაგური მატჩი

**იამაიკა 2:2 ნიგერია**

0:1 იეკინი (34), 1:1 პადსონი (37), 2:1 უილიამსი (40), 2:2 სიასია (77)

# ამერიკა ნოკაუტში

მსოფლიოს უძლიერესი ჰოკეისტების მონაწილეობით პირველად გამართულმა ოლიმპიურმა ტურნირმა ერთობ მოულოდნელია შედეგი მოიტანა — ოლიმპიური ოქრო ჩეხეთის, ერთი შეხედვით, საკმაოდ საშუალოდ დაკომპლექტებულმა ნაკრებმა (შეგახსენებთ, რომ ჩეხებს მხოლოდ 11 ნჰლ-ელი ჰყავდათ) მოიპოვა. მან ჩამოიტოვა კანადის, აშშ-ისა და რუსეთის გუნდები, რომელთა შემადგენლობაშიც თითქმის ყველა მსოფლიოს უძლიერესმა ლიგის ვარსკვლავმა მოიყარა თავი. ცხადია, ძალიან ძნელია, ამას რაიმე ახსნა-განმარტება მოუძებნო, მაგრამ ამგვარი შედეგის გამომწვევ სუბიექტურ და ობიექტურ მიზეზებზე ახლავე შეიძლება ითქვას. უპირველესად, ჰაშეკის საოცარი თამაში და კანადელთა რიგებში კარიასა და მესიეს არყოფნა უნდა აღვნიშნოთ, ისიც საგულისხმოა, რომ რუსეთის ნაკრების რამდენიმე მოთამაშემ უარი თქვა ნაგანოში ასპარეზობაზე. მიუხედავად ამისა, ყველაფერი თავად ჩეხთა ფენომენმა განაპირობა.

ტურნირამდე ჩეხებს ბევრი აკრიტიკებდა იმის გამო, რომ ნაკრების ხელმძღვანელობამ ესოდენ ცოტა ნჰლ-ელი მიიწვია, მაშინ, როცა ლიგაში მოთამაშე ჰოკეისტებისგან ერთი გუნდი დაკომპლექტდებოდა. თუმცა, როგორც ოლიმპიადამ დაადასტურა, გუნდის თავკაცი, წარსულში ცნობილი ჰოკეისტი ივან ჰლინკა მეტად გონივრულად მოიქცა. ევროპაში მოთამაშე ჩეხები უკვე კარგა ხანია ემზადებოდნენ ტურნირისთვის და ამის შედეგი დოპიტას კარგად შეთამაშებული სამეული და კიდევ რამდენიმე ტანდემი გახლდათ. ნჰლ-ელებმა კი დანარჩენი ვაკანსიები შეავსეს და ეს შერწყმა ერთობ იღბლიანი გამოდგა. რაც შეეხებათ სხვა ნაკრებების პროფესიონალებს, ისინი ნაგანოში შეჯიბრის დაწყებამდე ორი-სამი დღით ადრე ჩავიდნენ და, ცხადია, ვერ მოასწრეს საერთო ენის გამონახვა.

გარდა ამისა, სპეციალისტები გაოცებულნი იყვნენ ჩეხთა საბრძოლო ჟინითა და მონდომებით. არავისთვისაა საიდუმლო, რომ ნჰლ-ის ვარსკვლავებს არცთუ მაინცდამაინც სურდათ ეროვნულ ნაკრებში თამაში. ეს გასაგებიცაა — მსოფლიოს უპირველეს ლიგაში ჰოკეისტებს სახელთან ერთად ზღაპრული გასამრჯელოები აქვთ და ამიტომაც იყო, ოლიმპიადას იქაურ ჩემპიონატში ასპარეზობას რომ ამჯობინებდნენ. ეს ევროპელ, განსაკუთრებით კი რუს და ჩეხ ნჰლ-ელებს ეხებათ, რომელთაც ტრავმის მიღების შიში შინ დარჩენას აიძულებდა. ერთიც არის: ზოგიერთ მათგანს დიდი ხანია, გაუქრა პატრიოტული გზნება და თავს ამერიკელად თვლის. ამის მაგალითად რუს ალექსანდრ მოგილნის განცხადებაც იკმარებს. რუსეთის ხსენება ჩემში არანაირ ემოციას აღარ იწვევსო. ამიტომაც ქების ღირსნი არიან რუსებისა და ჩეხების ხელმძღვანელები, რომელთაც თავიანთი სახელოვანი ქვეშევრდომები სრულიად გარდაქმნეს ფსიქოლოგიურად. ჩეხთა მთავარ ვარსკვლავზე, იარომირ იაგრზე, რომელიც მართლაც შეუდარებელი იყო, ადრეც მოგახსენეთ, მაგრამ არანაკლებ თვალსაჩინო იყო მისი თანაგუნდელის პეტრ სვობოდას მაგალითი. 14 წლის წინ კანადაში გადაბარგებული ჰოკეისტი ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ თავის გუნდში.

რუსებმა მრავალწლიანი უიღბლობის შემდეგ, როგორც იქნა, მოიპოვეს მედალი, რაც უდავოდ დიდი წარმატებაა. მათი ლიდერები დიდი ოსტატობითა და სისწრაფით გამოირჩეოდნენ, მაგრამ გუნდს შეთამაშება აკლდა, რაც ყოველთვის იყო რუსთა მთავარი კოზირი. ეს მწვრთნელ იურზინოვის ტაქტიკურ შეცდომად უნდა ჩაითვალოს. მაგალითად, პირველ სამეულში ალექსეი ჟამნოვი და ვალერი კამენსკი ვერ უბამდნენ მხარს პაველ ბურეს და ამიტომაც იყო, „რუსული რაკეტის" გოლების უმეტესობა მისივე დამსახურება რომ გახლდათ. თუმცა იურზინოვმა ვეღარ გაბედა ტურნირის დასაწყისში შექმნილი სამეულების გარდაქმნა და მაშინ, როცა ფინალურ მატჩში ჩეხებმა მჭიდროდ შებოჭეს რუსების ლიდერი, დანარჩენებმაც ველარ გამოიჩინეს თავი. გარდა ამისა, ყოფილი საბჭოელები მეტად უსუსურად გამოიყურებოდნენ რიცხვმრავლობაში. ცხადია, ეს ისევ და ისევ შეუთამაშებლობის ბრალი იყო. რუსებს აშკარად აკლდათ, ასე ვთქვათ, შემოქმედებითი მცველი — იგივე სერგეი ზუბოვი ანაც ახალგაზრდა ოლეგ ტვერდოვსკი უკეთ აწყობდნენ გუნდის თამაშს რიცხობრივი უპირატესობისას.

ოკეანისგაღმელთა უნიათო გამოსვლა ცალკე საუბრის თემაა. ამის მიზეზები თვალშისაცემია: ჩრდილოამერიკელებს, უპირველეს ყოვლისა კი კანადელებს, მძლავრი და ათლეტური ჰოკეისტების ნაკლებობამ შეუშალა ხელი. მოგეხსენებათ, ნჰლ-ის გუნდებში ყოველ მოთამაშეს თავისი მოვალეობა აქვს, მაგრამ ზოგიერთის ამპლუა მეტოქის დევნაა. მათ მთელ მოედანზე პრესინგი ეკისრებათ, საჭირო შემთხვევაში კი ჩხუბიც უნდა ატეხონ და მოწინააღმდეგე მწყობრიდანაც გამოიყვანონ. კანადელებს სწორედ ასეთი ყაიდის მოთამაშეები აკლდათ, „პოლიციელთა" რგოლი — ეგრეთ წოდებული „ჩეკინგ-ლაინი" ნაგანოში ტექნიკურმა ჰოკეისტებმა შეცვალეს, რის გამოც ზემოხსენებული ფუნქცია გუნდის კაპიტანს ერიკ ლინდროსს დააწვა მხრებზე.

ამიტომაც იყო, ტრადიციულად ძალისმიერი „ნეკერჩხლის ფოთლები" უჩვეულოდ რომ გამოიყურებოდნენ კომბინაციურ, შემოქმედებით თამაშში — ისინი ხომ ამგვარი ოსტატობით ვერასოდეს სჯობნიდნენ ევროპელებს.

ტურნირის მსვლელობისას არაერთი საყვედური გამოითქვა გათამაშების სისტემის მიმართ. მართალია, საპლეიოფო პრინციპს თავისი უპირატესობა გააჩნია, მაგრამ ასეთ პირობებში არც შემთხვევითობაა გამორიცხული. თეორიულად ნებისმიერ გუნდს შეეძლო ჯგუფურ ტურნირში სამივე მატჩის წაგება, შემდეგ კი ორი მოგებით ფინალში გასვლა. მიუხედავად იმისა, რომ უფრო დაბალი კლასის ბელარუსმა და ყაზახეთმა ამ ვარიანტით ვერ ისარგებლეს, შვედეთის გუნდი ამ სისტემის მსხვერპლი შეიქნა. შვედებმა აშშ-ისა და კანადის ნაკრებებთან საუცხოო ჰოკეი გვაჩვენეს, მაგრამ მეოთხედფინალში ფინელებთან მოუხდათ დაპირისპირება. მოგეხსენებათ, ამ ორი მეზობლის შეხვედრები ყოველთვის პრინციპული და უშეღავათოა, ამჯერად კი იღბალმა „სუომის" გაუღიმა. ვფიქრობთ, ყველაზე მიზანშეწონილი იქნებოდა სისტემა, რომლის თანახმადაც წინასწარ ეტაპზე 6 საუკეთესო გუნდი გამოვლინდებოდა. მათ შორის ორი საუკეთესო წრიული სისტემით გაირკვეოდა, ისინი კი ფინალში შეეცილებოდნენ ერთმანეთს. სხვათა შორის, სწორედ ასეთი პრინციპით ჩატარდა ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატი და უკმაყოფილო არავინ დარჩენილა.

ყველაზე უსიამოვნო სიურპრიზი უეჭველად აშშ-ის ნაკრების გამოსვლა გახლდათ. ეს მეტად ძნელი ასახსნელია, რადგან ამერიკელებმა, ფაქტობრივად, შეინარჩუნეს მსოფლიოს თასის შემადგენლობა და გუნდის წამყვან მოთამაშეთა უმეტესობაც ჩინებულ ფორმაში იყო. ნაკრების წარუმატებლობა, ალბათ, იმის ბრალიცაა, რომ პროფესიონალები ერთობ თავდაჯერებულნი ჩავიდნენ ნაგანოში და ევროპელ კონკურენტთა ასეთ წინააღმდეგობას აშკარად არ ელოდნენ. გარდა ამისა, ასეთ შეჯიბრებაში, სადაც გამარჯვებული ნოკაუტ-სისტემით ვლინდება, საბოლოო შედეგს უმეტესწილად მცველთა და მეკარეთა საიმედო თამაში განაპირობებს. ამერიკელთა მეკარე მაიკ რიხტერმა კი, რომლის დამსახურებაცაა გუნდის წარმატება უკანასკნელ მსოფლიო თასზე, ამჯერად თავი ვერ გამოიჩინა. იგივე ითქმის ნაკრების საუკეთესო მცველებზე — ბრაიან ლიჩსა და დერიან ჰეჩერზე.

ფინელებმა თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმუმი აჩვენეს. ისეთი გუნდისგან, რომელშიც გოლები ერთ, თუნდაც სუპერტრიოს გააქვს, მეტს არც არავინ ელოდა, ამიტომაც „სუომი", ისევე, როგორც ჩეხეთის ნაკრები, ყველაზე კმაყოფილი უნდა იყოს ოლიმპიური ტურნირის შედეგებით. იმავე რუსებისგან განსხვავებით, ფინელებმა მთლიანად გამოიყენეს თავიანთი პოტენციალი. თუნდაც ის რად ღირს, რომ სელიანემ, კოივუმ და კომპანიამ რიცხობრივი უპირატესობის გამოყენების რეალიზება საოცარ — 30-პროცენტიან ზღვრამდე გაზარდეს. არადა, არც სკანდინაველთა ლიდერებს ჰქონდათ შეთამაშების დრო, თვით სელიანესა და კოივუს, წლევანდელი „ოლ სტარის" მატჩის გარდა, ერთ სამეულში ერთად არასდროს უთამაშიათ.

მოკლედ, ამ ტურნირმა ნათელყო, რომ ევროპელთა და ჩრდილოამერიკელთა უდიდესი პაექრობის დასრულებამდე ჯერ კიდევ შორია. მას შემდეგ, რაც ბოლო წლებში მსოფლიოს თასი მხოლოდ ჩრდილოამერიკელების დავის საგანი შეიქნა, მათ თავიანთი უპირატესობის ურყევი რწმენა გაუჩნდათ, ევროპელებმა კი მათი თავდაჯერება ქარს გაატანეს. თანაც ევროპულ ნაკრებებში არა მარტო ნჰლ-ელებმა, არამედ თავიანთ ქვეყნებში მოთამაშე ჰოკეისტებმაც გამოიჩინეს თავი, ხოლო ჩეხები პაველ პატერა, იაროსლავ შპაჩეკი, თუნდაც მათი მობერებული პარტნიორები — ირჟი დოპიტა და ვლადიმერ რუჟიჩკა ოდნავაც არ დაჩრდილულან უძლიერესთა შორის. პროფესიონალებს ფინელები კიმო ტიმონენი, კიმო რინტანენი და შვედი ჩიელბერგიც დაუმშვენებდნენ მხარს.

ტურნირი დიდი აღმოჩენებითა და ამომავალი ვარსკვლავების სიმრავლით არ გამორჩეულა, თუმცა ზემოხსენებულმა ევროპაში მოასპარეზე ჰოკეისტებმა, ნჰლ-ელების — რუსი ალექსეი მოროზოვის, ფინელი იანე ნიინიმას, შვედების მატიას ოლუნდისა და მათს ლინდგრენის, ამერიკელი ბრაიან ბერარისა და კიდევ ბევრი სხვა ახალგაზრდის დარად, კარგი მოთამაშის სახელი დაიგდეს. სამაგიეროდ, უდიდესმა ვარსკვლავებმა — იარომირ იაგრმა, ტეემუ სელიანემ, პაველ ბურემ და სხვებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს თავიანთი მაღალი კლასი და ცხადყვეს, რომ თანამედროვე სპორტში ცალკეულ მოთამაშეებს ჯერ კიდევ ძალუძთ გადამწყვეტი სიტყვის თქმა.

25 თებერვალს ნჰლ-ის ჩემპიონატი განახლდება, ნაგანოს ტურნირი კი 125 პროფესიონალისთვის უკვე მოგონებად იქცა. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, დაველოდოთ ნჰლ-ისა და ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციის — IIHF-ს ხელმძღვანელთა მოლაპარაკებების მორიგ ეტაპს, რათა 2002 წელს, აშშ-ის ქალაქ სოლტ ლეიკ სიტიში კვლავ განუმეორებელი სანახაობის მოწმენი გავხდეთ.

**სამველ ლარიგიანი**



ჩეხებს მარტო ჰაშეკი კი არა, იარომირ იაგრიც (მარჯვნივ) ჰყავდათ



ნაგანოში გაუბრწყინებელი კანადელი ვარსკვლავები: გრეცკი და ლინდროსი (88)

ნაგანოს ოლიმპიადა დასრულდა და ოლიმპიურ თამაშობათა მამებმა აღიარეს კიდეც, რომ იაპონიის თოვლიანი ალაგი, როგორც საუკეთესო მასპინძელი და ორგანიზატორი. მომსახურების, ტექნოლოგიის, ტრანსპორტის ხვლის სიზუსტეში ნაგანოს მართლაც არ მოეძებნება ბადალი ზამთრის მასპინძლებში. ორგანიზატორთა ფიქრებში ჯერ კიდევ ცოცხალი იყო ორი წლის წინანდელი ატლანტა, იქაური უწესრიგობა და იქ აფეთქებული ბომბი. თანაც, იაპონიამ ოლიმპიადა ჩაატარა მის უახლეს ისტორიაში უმძიმესი ეკონომიკური კრიზისის ჟამს. მაგრამ ნაგანოში სიმშვიდე და მხიარულება სუფევდა, ჩანს, იაპონელები დამშეულნი იყვნენ ზამთრის თამაშებზე, საპოროში ხომ მთელი 26 წლის წინათ უმასპინძლა თეთრ ოლიმპიადას.

# გმირები იყვნენ!

ნაგანოში გმირთა სიმცირე არ იგრძნობოდა.

არ იგრძნობოდა მოვლენათა და სკანდალების ნაკლებობაც. მარტო სნოუბორდის გამარჯვებული კანადელის როს რებალიატის ისტორია, მარიხუანას გამო რომ კინაღამ ოლიმპიური ოქროს მედალი დაჰკარგა, ანდა განაწყენებულ ამერიკელ ჰოკეისტთა მიერ სასტუმროს ოთახების რბევა, ანდა ...

მაგრამ ოლიმპიადის გმირები სხვები იყვნენ — „ჰერმინატორი", „დომინატორი", „თოვლის ხელმწიფე" და „ყინულის დედოფალი".

„ჰერმინატორი" ავსტრიელ სამთო მოთხილამურეს ჰერმან მაიერს შეარქვეს, რომელმაც ზამთრის თამაშების ყველაზე დიდი ხორცსაკეპი გაიარა და ორი სამთო ოქრო მოიგო.

„დომინატორი" ჩეხი ჰოკეის ნაკრების მეკარე დომინიკ ჰაშეკი იყო, რომელმაც დაანგრია ჰოკეის ლიგის ყველაზე მრისხანე კანადელ, რუს და ამერიკელ თავდამსხმელთა იმედები და თავის გუნდს ჰოკეის ოქრო მიუძღვნა. ჩეხთა სიხარული და ჰოკეის პირველი, ყველა ვარსკვლავით ზურგგამაგრებული ტურნირი ერთგვარად გააფერმკრთალა ამერიკელთა უგვანო საქციელმა. ჰოკეის თამაშს ერთი მოულოდნელი შემთხვევაც ახლდა, შვედი მცველი ულფ სამუელსონი შვედეთის ნაკრებში სათამაშოდ ჩამოვიდა, მაგრამ ამერიკული პასპორტი რომ უნახეს, ამის ნება აღარ მისცეს. ამერიკელთა და კანადელთა გარეშე ჩავლილმა ჰოკეის ფინალმა სულ თავბედი აწყევლინა ამერიკულ ტელეკომპანია სიბიესს, რომელმაც 375 მილიონი დოლარი გადაიხადა ნაგანოს თამაშების ტრანსლირების უფლებაში და ახლა ზარალის თვლაშია.

„თოვლის ხელმწიფე" კი გაუტეხელი და მოუღლელი ნორვეგიელი ბარად მოთხილამურე ბიორნ დელია, რომლის რვა ოქროს მედალიც ბოლო სამ ოლიმპიადაზე ზამთრის თამაშების სამოცდათოთხმეტწლიან ისტორიაში ამ კაცს ცოცხალ ლეგენდად აქცევს.

„ყინულის დედოფალი" კი ამერიკელი ფიგურული სრიალის მოცეკვავე ტარა ლიპინსკი შეიქნა. მან დაამტკიცა, რომ ოლიმპიადას ბავშვიც მოიგებს. ტარა 15 წლისაა და უკვე ოლიმპიური ჩემპიონია.

„ამინდმა გვარიანი გამოცდა მოგვიმზადა" — თქვა ოლიმპიადის დახურვის დღეს სოკ-ის ავსტრალიელმა წევრმა კევან გოსპერმა.

და მართლაც, ამინდი ჭირვეულობდა. ოლიმპიადის პირველი რვა დღიდან ხუთი წვიმიანი, თოვლიანი, ქარიანი და ბურუსიანი იყო. კაცთა სუპერ-გიგანტი ექვსჯერ (!) გადაიდო და ქარბუქმა ნერვები დააწყვიტა სპორტსმენებსაც და მესვეურებსაც.

სამაგიეროდ, ნაგანო სხვა მხრივ იყო სანიმუშო. ის, რაც ხალხის ხელში იყო და არა ბუნებისა, საუცხოოდ კეთდებოდა. ატლანტის მოუწესრიგებლობის შემდეგ, როცა შედეგები გვიან, შეცდომით და არეულად ქვეყნდებოდა, ნაგანო ნამდვილი შვება იყო. აქ არაფერი შეშლიათ და წახდენიათ.

თავად იაპონიამ ტრამპლინზე გამოიჩინა თავი, კაცუიოში ფუნაკის თავკაცობით იაპონელმა მფრინავებმა ორი ოქრო და თითო სხვა მედალი მოიგეს.



ჰერმან მაიერი

რუსმა ქალებმა კი პრეზიდენტი ელცინი აალაპარაკეს. ქალთა სიმარჯვემ არაოფიციალურ ჩათვლაში მესამე ადგილზე დააყენა რუსები. სად ხართ კაცებოო, კითხულობდა რუსეთის პრეზიდენტი, ცხრა რუსული ოქროდან რვა ხომ ქალების ანგარიშზეა. მოთხილამურე ლარისა ლაზუტინა ოლიმპიადის რეკორდსმენი შეიქნა სამი ოქროს და თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლით.

ნაგანო დასრულდა, მაგრამ ნაგანოდანვე იწყება ოლიმპიური მოძრაობის ახალი ტალღა, დოპინგისა და სახალხო მოხმარების ნარკოტიკების წინააღმდეგ. ოლიმპიადაზე ორი ათლეტის ტესტირებამ უჩვენა მათ სისხლში ნარკოტიკები. ორჯერვე მარიხუანა გამოვლინდა. მაგრამ ამან ვერ შეარყია ოლიმპიადა და ნაგანოს ოლიმპიური მრწამსი, რაც ასეთი ამაღლებული და თვალშისაცემი იყო უკანასკნელი 16 დღის განმავლობაში.

**ზურაბ ქალატოზიშვილი**

# სოკ-მა ბრძანა, ქალი და კაცი მრთად დაწვნენო

ოლიმპიური საქმის მესვეურებს გადაწყვეტილი აქვთ, კიდევ მეტი და მეტი ქალი მიიზიდონ ზამთრის სახეობებში, მაგრამ სქესთაშორისი განსხვავება და ქალთა კრძალვა ამ მოზიდვის შემაკავებელი ყოფილა.

ამის მაგალითია წყვილთა ციგაობა. ციგის საერთაშორისო ფედერაციას ჯერ კიდევ ოთხი წლის წინათ, სალილეჰამეროდ დაუდგენია, რომ წყვილში სქესს არანაირი მნიშვნელობა არა აქვს და ქალს კაცთან ერთად ციგაობა შეუძლია. მაგრამ არც ლილეჰამერში და არც ნაგანოში შერეული წყვილები არ გამოჩენილან.

ამის მიზეზი კი, გასწი-გამოსწი, ციგის სექსუალურობა და ზედ ქალის და კაცის ერთობლივი წოლის უხერხულობა ყოფილა. ციგა რომ გაქროლდება, მეწყვილე პირალმა უნდა გადააწვეს მის უკან მწოლს და ზედ საზარდულთან, სასქესო ორგანოს შორიახლო შეიკრას ეს ქამარი. მოციგავეებს შემოტმასნილი სამოსი აცვიათ და ხომ წარმოგიდგენიათ, ზემოთა მეწყვილე ქალი რომ იქნება? ჟურნალისტებს ვერავინ გააჩერებს. თანაც, ქამარი იმგვარად იკვრება, რომ სასქესო ორგანოს მეტად გამოკვეთილად აჩენს ტელეეკრანზე. ეს პრობლემა ერთგვარად გადაწყვიტა ჭრელმა სამოსმა. ეს კი ასეა, მაგრამ ხუან ანტონიო სამარანჩს მიაჩნია, რომ ციგას, ადრე თუ გვიან, მოევლება, თუნდაც მდედრობითი წყვილის მეშვეობით.

სოლტ ლეიკ სიტიში კი უკვე გამოჩნდებიან ბობსლეისტი და მოტრამპლინე ქალები. ბობსლეიში არანაირი სექსუალურობა არ არის და აკი ბრიტანეთში იმართება კიდეც ქალთა შეჯიბრები. ასე რომ, თუ ციგაზე შერეული წყვილი არ გამოდის, სხვა რამე გამოვა.



ორადგილიანი ციგით ჯერ მხოლოდ კაცები დასრიალებენ

## სპორტული ცეკვები

# ნუ ოხრავთ, ესაც საქმეა!

კავკასია-98





ბადრი ქათიაშვილის ფოტოები

ცეკვა ცეკვაა, მაგრამ გამარჯვებისთვის წყვილები თავს არ იზოგავდნენ

ჩვენი ცხოვრება ისეა აწყობილი ანუ ისე აუწყობელია, რომ გვგონია, არიქა, გვეშველა, დავლაგდით, არსებობა მაინც შეგვიძლია, გამოგვეტყვრება ათასი უბედურებიდან მორიგი ან სულაც რამდენიმე ერთად და ჭრიალით კი არა, ლამის ერთბაშად, ზათქით დაგვამხოს თავზე ეს ხუხულასავით სახელმწიფო. ჰოდა, აკი ვართ კიდეც წამდაუწუმ დამფრთხალნი, დაძმარებულნი და ყოვლისხალისდაკარგულნი, ისე, რომ არაფრის გაგონება არ გვინდა. და აი, თუ ამ დროს სადმე ცეკვავენ, მღერიან ან სხვა რამ სალაღობოს სჩადიან, მავანმა ნაღველშემოწოლილმა შეიძლება ღრმად ამოიოხროს, ნეტავი თქვენ, საქმე დაგლევიათ, რა დროს ეგეებიაო. ნუ განსჯით ასე, ბატონებო, თუნდაც იმიტომ, რომ ამ ხალხს საქმე კი არ დალევია, პირიქით, სწორედ ესაა ამათი საქმე და ღვთის მადლით, კეთებაც შეუძლიათ.

ერთი ასეთი საქმე ჩათავდა ამ უქმეებზე ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზში: საქართველოს სპორტული ცეკვების ეროვნულმა ასოციაციამ მოაწყო სამეჯლისო (სპორტული) ცეკვების საერთაშორისო კონკურსი „კავკასია 98", რომელზეც სომეხი და აზერბაიჯანელი თანამოსაქმენი იწვია. სტუმრებს თბილისელი, თელაველი, გორელი მოცეკვავეები დახვდნენ, სულ 53 წყვილიც შეიკრიბა და ისინი 5 ასაკობრივ ჯგუფად გაეჯიბრნენ ერთმანეთს.

ამ გაზაფხულზე კი, ეს რა არის, სპორტული ცეკვების ეროვნული ასოციაცია თბილისში სულაც მსოფლიოს პირველობის გამართვას აპირებს, რომელსაც „კავკასიის თასი" ერქმევა. მოსაპატიჟებელი ბარათები უკვე 63 ქვეყანაშიც დაუგზავნიათ და, აბა, სანახაობა ის იქნებაო, გვპირდებიან. ღმერთმა ხელი მოუმართოთ!

## ავტორბოლა

### ბელგიას ეპატია



ფია-მ როგორც იქნა მიიღო გადაწყვეტილება ბელგიის დიდი პრიზის შესახებ. ამ ეტაპის ჩატარება სათუო გახდა მას შემდეგ, რაც ბელგიის პარლამენტმა აკრძალა თამბაქოს რეკლამა.

ვალონიელთა (ამ კუთხეში მდებარეობს სპა-ფრანკორშამპის ტრასა) მეცადინეობით შეგროვდა საბუთები, რომლებიც ბელგიის დიდი პრიზის ჩატარების შესაძლებლობას ადასტურებდა. ფია თითქმის მთელი კვირის განმავლობაში აანალიზებდა მათ და საბოლოოდ გადაწყვეტილებაც მიიღო — 30 აგვისტოს ლეგენდარულ სპა-ფრანკორშამპაზე „ბელგიის დიდი პრიზი" ჩატარდება. ჩინეთსა და სამხრეთ აფრიკას, რომლებიც სათადარიგო ეტაპებად იყვნენ შეგულებულნი, მოცდა მოუწევთ.

### ფერარი აღარ ჭირვეულობს

„ფერარის" პილოტები ახალ ბოლიდს მუჯელოს ტრასაზე ცდიან და გასული კვირის ბოლოს რბოლის იმიტაციაც მოაწყვეს.

დარში ჯერ შუმახერმა გაიარა 71 წრე (372კმ) ორი პიტსტოპით, რომლებმაც ეს მანძილი სამ სხვადასხვა სიგრძის მონაკვეთად დაჰყო. გერმანელის საუკეთესო დრო 1.29,025 გახლდათ. გუნდის მუშაობამ შედეგი გამოიღო და ამ ტესტმა ყოველგვარი ტექნიკური პრობლემის გარეშე ჩაიარა.

მეორე დღეს მიხაელი ახალი შასის სარეგულირებლად მუშაობდა. 43 წრე გაიარა და საუკეთესო დრო 1.28,707 აჩვენა. მისმა პარტნიორმა ედი ირვინმა კი რბოლის იმიტაცია ჩაატარა, 75 წრე გაიარა, ორჯერ შეჩერდა საბურავების შესაცვლელად, საწვავის ჩასამატებლად და საუკეთესო წრეზე მისი დრო 1.28,948 იყო.

ირლანდიელი პილოტიც კმაყოფილი დარჩა ჩატარებული ტესტით და განაცხადა: „მოხარული ვარ, რომ რბოლის დისტანციის დაფარვა შევძელი. თავიდან უსაფრთხოების ღვედებთან დაკავშირებული პრობლემები მქონდა, რის გამოც ბოქსებში შეჩერება მომიხდა. ბოლიდი კარგად იყო ბალანსირებული და ტრასაზეც მშვენივრად მოქმედებდა. სხვა პრობლემები არ შემქმნია, ძრავიცა და საბურავებიც შესანიშნავად მუშაობდა".

ასე რომ, „ფერარი 300" აღარ ჭირვეულობს და შუმიცა და ირვინიც მზად არიან მეტოქეებთან საბრძოლველად.

# ბებერი კენი წავიდა

შარშან, წლის ბოლოს „ბრიტიშ-ამერიკან ტაბაკომ" „ტირელის" საჯინიბო შეიძინა და „ბრიტიშ-ამერიკან რეისინგად" აქცია, თუმც კი წლევანდელ ჩემპიონატში გუნდი „ტირელის" სახელით და კენ ტირელის ხელმძღვანელობით უნდა გამოსულიყო, რომელიც იმედოვნებდა, რომ უკანასკნელ სეზონს წარმატებით დაასრულებდა.

ამ დღეებში 73 წლის კენ ტირელმა მოულოდნელად განაცხადა, რომ ტოვებს ავტოსპორტს და გუნდს პირველ ეტაპზე ჰარვეი პოსტლუეიტი უხელმძღვანელებს.

პოსტის მიტოვების ერთ-ერთ მიზეზად ტირელი გუნდის ახალი მფლობელების და საკუთარი გეგმების შეუთავსებლობას ასახელებს: „ტირელი" ბოლო სეზონს ატარებს ავტოსპორტში და ჩვენი მიზნები და პრიორიტეტები ხანმოკლეობაზეა გათვლილი, ხოლო „ბრიტიშ-ამერიკან რეისინგის" გეგმები — ფორმულა I-ში ხანგრძლივ მონაწილეობაზე. ეს ბუნებრივია და სულაც არ ვარ გაბრაზებული. ძალიან მიძიმდა გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ, ვფიქრობ, სწორი ნაბიჯი გადავდგი".

გუნდის ახალი მფლობელი კრეიგ პოლოკი კი აცხადებს, რომ ეს გადაწყვეტილება ორივე მხარისთვის გულდასაწყვეტია და უმატებს: „როდესაც ჩვენ „ტირელი" შევიძინეთ, კმაყოფილი ვიყავით, რომ კენი და ბობი (კენ ტირელის ვაჟი და თანაშემწე) ჩვენთან რჩებოდნენ, მაგრამ ამჟამად იძულებული ვართ ვაღიაროთ, რომ საქმე ისე მიდის, ჩვენი თავდაპირველი ჩანაფიქრის განხორციელება არ ხერხდება".



კენ ტირელის გუნდის უკანასკნელი პრეზენტაცია. მარცხნიდან: ჰარვეი პოსტლუეიტი, ტელევარსკვლავი დენიზ ვან ოუტენი, ტარანოსუკე ტაკაჯი და კენ ტირელი

კენ ტირელი ავტოსპორტში 60-იანი წლების დასაწყისში გამოჩნდა და 1968 წლიდან ხელმძღვანელობდა საკუთარ გუნდს ფორმულა I-ში. მისი თავკაცობით გუნდმა 33 გამარჯვება მოიპოვა, საუკეთესო წლებად კი ჯეკი სტიუარტთან მუშაობის წლები ითვლება. შოტლანდიელმა ბებერ კენს მსოფლიოს ჩემპიონის სამი ტიტული მოუტანა და დღესაც აცხადებს, რომ კენის გარეშე ის ფორმულა I-ში ვერ მოხვდებოდა.

ალეკო ჭაბუკიანი

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანიის ჩემპიონატი. მეორე ბუნდესლიგა.

24 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ურდინგენი — დიუსელდორფი | 1,3 | 3,6 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| მეპენი — ფორტუნა | 2,0 | 3,0 | 2,0 |

### ინგლისის თასი. მერვედფინალი. გადათამაშება

25 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| კრისტალ პალასი — არსენალი | 4,7 | 3,4 | 1,5 |
| ბლეკბერნი — ვესტ ჰემი | 1,3 | 3,6 | 7,0 |
| ვულვერჰემპტონი — უიმბლდონი | 2,0 | 3,0 | 3,0 |
| ბარნსლი — მანჩესტერ იუნაიტედი | 3,1 | 3,1 | 1,9 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXXIV ტური

24 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბირმინგემი — ბერი | 1,3 | 3,6 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| ბრედფორდი — პორტ ვეილი | 1,7 | 3,1 | 3,8 |
| ჰადერსფილდი — სანდერლენდი | 3,0 | 3,0 | 2,0 |
| იფსვიჩი — ოქსფორდი | 1,3 | 3,8 | 6,5 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,4 |
| რედინგი — მანჩესტერ სიტი | 2,4 | 2,8 | 2,4 |
| სტოკპორტი — ნორვიჩი | 1,5 | 3,3 | 5,0 |
| ტრანმერი — ნოტინგემი | 3,0 | 3,0 | 2,0 |
| ვესტ ბრომვიჩი — პორტსმუთი | 1,5 | 3,3 | 5,0 |

25 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| მიდლსბრო — ქრიუ | 1,2 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,4 |
| ქუინზ პარკი — შეფილდ იუნაიტედი | 2,3 | 2,8 | 2,6 |
| სტოკი — ჩარლტონი | 2,4 | 2,8 | 2,4 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. გამოტოვებული მატჩი

25 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბეტისი — ვალიადოლიდი | 1,3 | 3,8 | 6,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,2 |

### ესპანეთის თასი. ნახევარფინალი. მეორე მატჩები

25 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| მალიორკა — ალავესი | 1,6 | 3,0 | 4,7 |

26 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| სარაგოსა — ბარსელონა | 2,4 | 2,8 | 2,4 |

### ჰოლანდია

25 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰერენვენი — როდა | 1,3 | 3,8 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |

### პორტუგალიის თასი. ნახევარფინალი

24 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბრაგა — ბენფიკა | 4,0 | 3,3 | 1,6 |
| ლეირია — პორტუ | 5,3 | 3,6 | 1,4 |

### თურქეთის თასი. ნახევარფინალი. პირველი მატჩები

25 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ქოჩაელისფორი — ბეშიქთაში | 2,4 | 2,7 | 2,5 |
| ტრაპზონსფორი — გალათასარაი | 1,8 | 3,0 | 3,5 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. XXVI ტური

24 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| დანდი იუნაიტედი — ჰიბერნიანი | 1,5 | 3,3 | 5,0 |
| კირმარნოკი — რეინჯერსი | 5,0 | 3,3 | 1,5 |

25 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| სელტიკი — დანფერმლაინი | 1,1 | 5,3 | 10,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,2 | 4,0 |
| ჰარტსი — აბერდინი | 1,2 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 2,7 |
| მოზერველი — სენტ ჯონსტონი | 2,1 | 2,9 | 2,9 |

### აფრიკის თასი. ნახევარფინალი

25 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| კონგო — სამხრეთი აფრიკა | 3,2 | 3,0 | 1,9 |
| ბურკინა ფასო — ეგვიპტე | 3,3 | 2,9 | 1,9 |

### ამხანაგური მატჩები

24 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| მექსიკა — ჰოლანდია (აშშ-ში) | 2,8 | 2,8 | 2,2 |
| არგენტინა — იუგოსლავია | 1,7 | 2,8 | 4,4 |

25 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| საფრანგეთი — ნორვეგია | 1,5 | 3,1 | 5,6 |
| ისრაელი — პოლონეთი | 2,0 | 3,0 | 3,0 |
| ბელგია — აშშ | 1,6 | 3,1 | 4,4 |

## CROCO-2

### ტირაჟი №08

1. ვულვერჰემპტონი — უიმბლდონი
2. ბარნსლი — მანჩესტერ იუნაიტედი
3. სარაგოსა — ბარსელონა
4. მოზერველი — სენტ ჯონსტონი
5. კონგო — სამხრეთი აფრიკა
6. ბურკინა ფასო — ეგვიპტე
7. მექსიკა — ჰოლანდია
8. ისრაელი — პოლონეთი

მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ტირაჟში მოცემული 8 მატჩის მხოლოდ ძირითადი დროის შედეგი. მოგებულად ჩაითვლება ბილეთი, რომელშიც გამოცნობილია 8 მატჩის შედეგი. მინიმალური მოგება 50 ლარია, მაქსიმალური კი — 1000 ლარი.

7 შედეგის გამოცნობისთვის მოგება ფიქსირებულია — 5 ლარი. ერთ ბილეთში შევსებული ვარიანტების რაოდენობა შეზღუდული არ არის. თუ ტირაჟში შეტანილი რომელიმე მატჩი არ ჩატარდა, ჩაიშალა ან შეიცვალა მოედანი, ტირაჟი გაუქმებულად ცხადდება და მოთამაშეებს თანხა უბრუნდებათ.

ერთი ვარიანტის ღირებულებაა 1 ლარი.

მოგების ფონდს ემატება JACK POT

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

# ჩოგანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია

ანტვერპენი. ბელგია.
ევროგაერთიანების ჩემპიონატი.
ტარდება დარბაზში ხალიჩაზე.
საპრიზო ფონდი 1 მილიონი $

**მეოთხედფინალი: კაროლ კუჩერა (7, სლოვაკეთი) — პეტერ კორდა (1, ჩეხეთი) 3:6, 6:4, 6:2; პატრიკ რაფტერი (2, ავსტრალია) — ჯეფ ტარანგო (აშშ) 6:7 (3:7), 6:2, 6:1; გრეგ რუზეცკი (5, ინგლისი) — ტომას იოჰანსონი (შვედეთი) 6:3, 4:6, 6:4; მარკ როსე (შვეიცარია) — მაგნუს ლარსონი (შვედეთი) ლარსონის ტრავმის გამო არ შედგა.**

პეტერ კორდას თავისი დაუმარცხებელი სერიის გასაგრძელებლად რამდენიმე გეიმი არ ეყო: წლეულს ზედიზედ 14 მოგების შემდეგ მან სლოვაკ კაროლ კუჩერასთან წაიბორძიკა. მატჩი ჩეხმა კარგად დაიწყო და პირველი სეტის შემდეგ ცალი ფეხი ნახევარფინალშიც შედგა, მაგრამ მეორეში ჯერ ფორჰენდების აცილებას მიჰყო ხელი, მერე თავისი საფირმო ბექჰენდიც მოეშალა, ზედიზედ ოთხჯერ საკუთარი მოწოდებაც დაკარგა და მომავალი კვირიდან კლასიფიკაციაში პიტ სამპრასის გადასწრების შანსიც, რაც ანტვერპენში გამარჯვების შემთხვევაში მიეცემოდა. კორდამ მარცხი მეტოქის დამსახურებასთან ერთად ავადმყოფობას გადააბრალა — მეორე წრეში ისე ცუდად ვიყავი, თამაშისთვის თავის დანებებას ვაპირებდიო, მერე კი საკუთარ გეგმებზეც ამოღერღა ერთი-ორი სიტყვა: „სეზონის წინ ვთქვი, რომ 1998 წელს ჩავამთავრებ, მერე კი მეუღლესთან და მწვრთნელთან ერთად გადავწყვეტ, გავისად ვითამაშებ, თუ არა. ივლისში მეორე ბავშვს ველოდებით, მე კი ისე ვარ მიჩვეული ტურნირებზე ოჯახის გარემოცვაში ყოფნას, რომ მარტოს ასპარეზობა ძალიან გამიჭირდება.“ კორდამ ისიც დაამატა, ამჯერად პირველი ჩოგნობის ხელიდან გაშვებით გული მაინცდამაინც არ დამწყვეტიაო: „ჩემი უდიდესი ოცნება დიდი სლემის ტურნირის მოგებით ავისრულე. ამ გამარჯვებას ერთი წლის განმავლობაში პირველ ადგილზე ყოფნაზეც კი არ გავცვლიდი.“

**ნახევარფინალი: როსე — რაფტერი 7:6 (7:3), 7:6 (7:2); რუზეცკი — კუჩერა 6:4, 6:3.**

ტურნირის შარშანდელი ჩემპიონი როსე მაგნუს ლარსონის ამოგდებული კოჭის ხარჯზე ნახევარფინალში უბრძოლველად მოხვდა და იღბალმა არც იქ აქცია ზურგი: პირველი სეტის ტაი-ბრეიკზე პატრიკ რაფტერმა საზარდულის ტრავმა მიიღო და თამაში გამაყუჩებლებითა და შემოჭერილი სამკურნალო ნიფხვითლა გააგრძელა, რაც მის თამაშს, ბუნებრივია, ბევრით ვერაფერით წაადგა. საბოლოოდ ამერიკის ღია პირველობის გამარჯვებული ორ ტაი-ბრეიკზე დამარცხდა და სექტემბრის შემდეგ, აგერ უკვე მერამდენედ, ფინალისთვისაც კი ვერ მიუღწევია. რაფტერმა მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ სავსებით ესმის ბორის ბეკერის, რომელიც 30 წლისა პენსიაზე გასვლას აპირებს: „დილაობით მთელი სხეული, განსაკუთრებით კი ბარძაყები ისე მტკივა, ლოგინიდან თავის აწევაც კი მიჭირს. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ ამას არც მასაჟი შველის და არც ვარჯიშები. ვიცი, არ შეიძლება, მაგრამ გასული სამი კვირის მსგავსი არდადეგების მოწყობის სურვილი მკლავს, როდესაც შოკოლადისა და ჩიპსების ჭამის მეტი არაფერი მიკეთებია.“

**ფინალი: რუზეცკი — როსე 7:6 (7:3), 3:6, 6:1, 6:4**

ხუთი წლის განმავლობაში ანტვერპენის ტურნირის სამჯერ მომგებს 1617 ბრილიანტის თვლით მოჭედილი ექვსკილოგრამიანი ოქროს ჩოგანი ელის, რომლის ღირებულება დაახლოებით 1 მილიონი დოლარი ყოფილა. გრეგ რუზეცკის ძლევის შემთხვევაში ამ სასურველი ჯილდოს მოპოვებამდე მარკ როსეს ერთი ნაბიჯიღა დააკლდებოდა, აკი დაიქადნა კიდეც ფინალამდე, მამაჩემი ბანკში მუშაობს და ჩოგნის შესანახი ადგილი წინასწარ დამიბევაო, მაგრამ 1992 წლის ოლიმპიურ ჩემპიონს, ჯილდოს დასაკუთრებამდე ორი წელი ცდა მაინც მოუწევს, რაკილა შარშანდელი ფინალისგან განსხვავებით (როცა ტიმ ჰენმანი იბრიყვა) მორიგ ინგლისელს — გრეგ რუზეცკის ვერაფერი მოუხერხა. როგორც ორი მძლავრი მომწოდებლის შეხვედრისაგან იყო მოსალოდნელი, პირველი ხელის ბედი ტაი-ბრეიკზე გადაწყდა და უფრო იღბლიანი ამჯერად რუზეცკი აღმოჩნდა — სეტის უკანასკნელ გათამაშებაში მისი დარტყმული ბადეს მოხვდა, მიმართულება იცვალა და შვეიცარიელი პირში ჩალაგამოვლებული დატოვა. როსემ ანგარიშის გათანაბრება კი შეძლო, მაგრამ მესამე ხელში უკანა ხაზზე მოულოდნელად შესანიშნავად ათამაშებული რუზეცკისთან პირწმინდად დაიჩაგრა და მდგომარეობის გამოსწორება ველარც შეძლო — ინგლისელმა მატჩი 23-ე ეისით დაასრულა. როსემ იხტიბარი არ გაიტეხა, ჩოგნის მოსაგებად წინ კიდევ ორი წელი მაქვსო, თუმცა, როგორც ეტყობა, მას სახიფათო კონკურენტიც გამოუჩნდა. ამის შემ წალებაზე უარს არ ვიტყოდიო — განაცხადა გრეგ რუზეცკიმ, როდესაც გამარჯვების შემდეგ ზემოხსენებული მთავარი პრიზი ხელში შეათამაშა, თუმცა ჯერჯერობით მასაც 162 500 დოლარითა და კლასიფიკაციაში მეექვსე ადგილზე გადაბარგებით დაკმაყოფილება მოუხდა.

მემფისი. აშშ. „კროგერ სენტ ჯუდი“. ტარდება დარბაზში ჰარდზე. საპრიზო ფონდი
700 ათასი $

**მეოთხედფინალი: მარსელო რიოსი (1, ჩილე) — გრანტ სტაფორდი (სამხრეთ აფრიკა) 6:2, 6:3; მაიკლ ჩანგი (2, აშშ) — რიჩარდ ფრომბერგი (9, ავსტრალია) 6:1, 6:4; გუსტავო კერტენი (3, ბრაზილია) — მარკ ვუდფორდი (12, ავსტრალია) 4:6, 6:4, 6:4; მარკ ფილიპუსისი (4, ავსტრალია) — ტომას ენკვისტი (5, შვედეთი) 3:6, 6:2, 7:6 (7:3)**

**ნახევარფინალი: ფილიპუსისი — რიოსი 6:4, 7:6 (7:5), ჩანგი — კერტენი 7:6 (9:7), 7:6 (7:4)**

**ფინალი: ფილიპუსისი — ჩანგი 6:2, 6:3**

მათ რიგებს, ვინც ფინალის შემდეგ 26 წლის მაიკლ ჩანგს happy birthday-ს უმღეროდა, მარკ ფილიპუსისიც შეუერთდა, თუმცა იუბილარს ავსტრალიელის მილოცვა ცოტათი ადრე, ალბათ, გაცილებით მეტად გაახარებდა. სკალმა ამერიკელი სასტიკად დაიბრიყვა — მარტო პირველ სეტში 9 ეისი მოუწოდა, თავის მხრივ, უზადო შემოვლებებითა და მძლავრი დარტყმებით გამოირჩა და კარიერაში მეხუთე ტიტულთან ერთად 120 ათასი დოლარიც მიითვალა.

ჰანოვერი. გერმანია. „ფაბერის გრანპრი“. ტარდება დარბაზში ჰარდზე. საპრიზო ფონდი
480 ათასი $

**მეოთხედფინალი: იანა ნოვოტნა (1, ჩეხეთი) — ლაიზა რეიმონდი (8, აშშ) 6:1, 7:5; ანა კურნიკოვა (რუსეთი) — ანკე ჰუბერი (6, გერმანია) 6:4, 3:6, 6:4; პატი შნიდერი (შვეიცარია) — ნატალი ტოზია (7, საფრანგეთი) 6:4, 6:3**

**ნახევარფინალი: ნოვოტნა — კურნიკოვა 6:3, 6:3; შნიდერი — საბინე აპელმანსი (ბელგია) 6:3, 6:3.**

**ფინალი: შნიდერი — ნოვოტნა 6:0, 2:6, 7:5**



პატი შნიდერი

მსოფლიოს მესამე ჩოგანმა, იანა ნოვოტნამ ფინალური მატჩის მესამე სეტში ორი მატჩ-პოინტი ვერ გამოიყენა, ამას შეხვედრის უკანასკნელ გეიმში ორი ორმაგი შეცდომა მიაყოლა და მსოფლიო ჩოგბურთის ელიტას ახალი წევრიც შემატა — 19 წლის შვეიცარიელი პატი შნიდერი, რომელიც აქამდე თავისი სახელგანთქმული თანამემამულის, მარტინა ჰინგისის ჩრდილში იმყოფებოდა, ჰანოვერის ტურნირზე გამარჯვების შემდეგ კი კლასიფიკაციაში 25-ედან მე-15 ადგილზე ალზევდა.

**ავთანდილ სვანიძე**



რეგულარული ჩემპიონატი

# ჯორდანი კლინტონთან შერცხვა

20 თებერვალი

### ორლანდო 93:91 ინდიანა

**ორლანდო: ანდერსონი (37), შაიესი (18)**
**ინდიანა: სმიტსი (27), მილერი (21)**

ორლანდოელმა ჯადოქრებმა კვლავ მოიაკლისეს უკანახაზელები — პენი ჰარდევეი და მარკ პრაისი და შვიდი კაცის ამარა შეერკინნენ ინდიანას. მათ არყოფნაში თავი გამოიდო ნიკ ანდერსონმა, რომელმაც 37 ქულით სეზონის რეკორდი გაიუმჯობესა. მას კარგად წაეხმარა ორლანდოს ყოფილი ძირითადი ცენტრის როჩი საიკლის ნაცვლად ხუთეულში დამკვიდრებული დენი შაიესი. გუნდის მიერ პირველ ნახევარში მითვლილი 46 ქულიდან 32 ამ ორის ანგარიშზეა. მატჩი თავიდანვე თანაბარი იყო და ინდიანას მოგებაც შეეძლო. თამაშის დამთავრებამდე 1,45 წუთით ადრე, როდესაც ანგარიში უკვე 93:91 იყო, რეჯი მილერმა ააცილა სამქულიანი. 33 წამით ადრე რიკ სმიტსმა (14 ქულა ბოლო მეოთხედში) ვერ ჩააგდო ნახტომში და ბოლო წამებზე რეჯი მილერის სამქულიანმა კვლავ ვერ მიაღწია მიზანს.

### ატლანტა 115:92 ვანკუვერი

**ატლანტა: სმიტი (21)**
**ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (18)**

### მინესოტა 100:95 ჰიუსტონი

**მინესოტა: მარბერი (27+10 პასი), გარნეტი (25+17 მოხსნა)**
**ჰიუსტონი: ოლაჯუონი (20)**

ორივე გუნდს ჰყავდა იუბილარი. თავის 21-ე დაბადების დღეს თანაგუნდელთაგან ყველაზე შედეგიანი იყო სტივენ მარბერი, რასაც ვერ ვიტყვით ჰიუსტონელ სერ ჩარლზ ბარკლიზე, რომელსაც 20 თებერვალს 35 წელი შეუსრულდა. მან 12-ჯერ ესროლა, 4-ჯერ ჩააგდო და სულ 11 ქულასა და 10 მოხსნას გამორჩა.

### საკრამენტო 77:91 მაიამი

**საკრამენტო: რიჩმონდი (22)**
**მაიამი: მურნინგი (26+15 მოხსნა), ჰარდევეი (21)**

### მილუოკი 94:89 ტორონტო

**მილუოკი: გილიამი (24+11 მოხსნა), რობინსონი (22+13 მოხსნა)**
**ტორონტო: კრისტი (23)**

მილუოკის სათადარიგომ არმონ გილიამმა სეზონში ყველაზე მეტი, 24 ქულა გააკეთა. მან 14 საჯარიმოდან 12 ჩააგდო, 10 ქულა კი ბოლო მეოთხედში გაუხერხა თავის გუნდს, რომელმაც ზედიზედ მესამედ გაიმარჯვა. როგორც წინა „სარბიელში“ ვწერდით, „ტორონტო რეპტორზმა“ დეიმონ სტუდემაიერი პორტლენდს კენი ანდერსონში გაუცვალა. ანდერსონმა არ ისურვა დაჩოქილ ტორონტოში გაჩერება და „ბოსტონ სელტიქსში“ გადაბარგდა, ტორონტომ კი სანაცვლოდ ახალბედა უკანახაზელი ჩონსი ბილაპსი და კიდევ რამდენიმე მოთამაშე მიიღო. მილუოკისთან თამაში ბილაპსისთვის პირველი იყო ტორონტოში, რომელსაც მან 12 ქულა შემატა.

### ფინიქსი 115:99 შარლოტი

**ფინიქსი: რობინსონი (36)**
**შარლოტი: გეიგერი (22), ფილზი (20)**

შარლოტს ფინიქსში 1995 წლის 12 დეკემბრის აქეთ არ მოეგო. კრაზანებმა ნავსი ვერც ამჯერად გატეხეს. ფინიქსმა პირველი მეოთხედი და საერთოდ მატჩიც 16 ქულით მოიგო. ფინიქსელმა კლიფ რობინსონმა სეზონში ყველაზე მეტი — 36 ქულა მიითვალა და 5 ქულით გააუმჯობესა 12 თებერვალს პორტლენდთან მიღწეული. „ფინიქს სანზის“ ვეტერანმა გამთამაშებელმა თავისი გუნდის რიგებში მე-700 შეხვედრა ჩაატარა.

### ნიუ ჯერსი 95:109 კლივლენდი

**ნიუ ჯერსი: კასელი (28+10 პასი), ვან ჰორნი (16+11 მოხსნა)**
**კლივლენდი: კემპი (27+13 მოხსნა), ჰენდერსონი (27), პერსონი (23)**

მოგებულთა რიგებში გაიბრწყინა შონ კემპმა, რომელსაც კარგად წაეხმარა ახალბედა სედრიკ ჰენდერსონი. მან 27 ქულით კარიერის რეკორდი დაამყარა. თამაში თავდაპირველად თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა, მაგრამ მესამე მეოთხედი კლივლენდმა 36:20 მოიგო და უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვია.

21 თებერვალი

### ნიუ ჯერსი 89:98 ფილადელფია

**ნიუ ჯერსი: კიტლზი (24), კასელი (22)**
**ფილადელფია: აივერსონი (27+12 პასი), კოულმენი (24)**

### დალასი 82:94 დეტროიტი

**დალასი: სტრიკლენდი (19)**
**დეტროიტი: უილიამსი (19), დუმარსი (18)**

მართალია, დეტროიტმა მოიგო, მაგრამ გუნდის ლიდერმა გრანტ ჰილმა თავი შეირცხვინა. მან 39 წუთი დაჰყო მოედანზე და 5 ქულას დასჯერდა.

### ვაშინგტონი 88:94 ჩიკაგო

**ვაშინგტონი: ჩინი (30), სტრიკლენდი (19+12 პასი)**
**ჩიკაგო: პიპენი (23)**

დარბაზი გაავსო 20674 მაყურებელმა, რომელთა შორის ამერიკის პრეზიდენტი ბილ კლინტონიც იყო. პრეზიდენტი მატჩზე ჯორდანის ფრენის ნახვის სურვილმა მიიყვანა, მან კი სეზონში ერთ-ერთი ყველაზე უხეირო მატჩი ჩაატარა — 23-ჯერ ისროლა, აქედან მხოლოდ 8 ჩააგდო და საბოლოოდ 19 ქულასღა დასჯერდა.

### ფინიქსი 97:79 სან ანტონიო

**ფინიქსი: მენინგი (17)**
**სან ანტონიო: დანკანი (17)**

სან ანტონიოს აკლდა „ადმირალი“ დევიდ რობინსონი, რომლის ადგილი ხუთეულში ვინ პერდიუმ დაიკავა და არც თუ ურიგოდ გაისარჯა (16 ქულა, 19 მოხსნა), მაგრამ პერდიუ რობინსონი არაა და ფლაგმანდაკარგულმა ფლოტმა სამარცხვინოდ ითამაშა — განსაკუთრებით ბოლო მეოთხედში, რომელიც 10:29 დათმო. ფინიქსმა ზედიზედ მეხუთედ მოიგო.

### კლიპერსი 98:111 შარლოტი

**კლიპერსი: ტეილორი (17)**
**შარლოტი: მეისონი (25), რაისი (23+12 მოხსნა)**

22 თებერვალი

### სან ანტონიო 77:79 იუტა

**სან ანტონიო: დანკანი (29+15 მოხსნა), ჯონსონი (20)**
**იუტა: მელოუნი (24+13 მოხსნა)**

ფინიქსთან სტუმრად დამარცხების შემდეგ სან ანტონიომ შინაც წააგო მოსისხლე იუტასთან.

### ტორონტო 113:105 ვანკუვერი

**ტორონტო: ბილაპსი (27), უოლესი (22)**
**ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (22)**

ორი კანადური გუნდის შეხვედრა მეტად დაძაბულად წარიმართა და ოვერტაიმშიც გაგრძელდა. საერთოდ, ტორონტო მცირეოდენ უპირატესობას ფლობდა და ძირითადშივე შეძლო მოგება, მაგრამ ოლივერ მილერმა 9,5 წამით ადრე ორი საჯარიმო ააცილა. ტორონტოში ახლად გადმობარგებულმა ჩონსი ბილაპსმა 27 ქულით კარიერის რეკორდი დაამყარა. მართალია, მან 13 სროლიდან 5 ჩააგდო, მაგრამ 16 საჯარიმოდან მხოლოდ 3 ააცილა.

### მინესოტა 113:95 საკრამენტო

**მინესოტა: მიტჩელი (17)**
**საკრამენტო: რიჩმონდი (32), უილიამსონი (21)**

მინესოტამ ერთობ იზარალა: დადგინდა, რომ გუნდის ერთ-ერთი ლიდერი ტომ გულიოტა მარჯვენა მუხლის ტრავმის გამო ამ სეზონში ველარ ითამაშებს. გულიოტა გუნდში ყველაზე შედეგიანი იყო მატჩში საშუალოდ 20,1 ქულით და მეორე — მოხსნებში კევინ გარნეტის შემდეგ (8,7 მოხსნა). მიუხედავად გულიოტას არყოფნისა, მინესოტელებმა იოლად სძლიეს კალიფორნიელებს.

### ორლანდო 96:94 ლეიკერსი

**ორლანდო: ანდერსონი (30)**
**ლეიკერსი: ონილი (20+10 მოხსნა), ჯონსი (19)**

თამამად შეიძლება, ნიკ ანდერსონი მატჩის გმირად ვაღიაროთ. მან ყველაზე მეტი ქულა გააკეთა, მატჩის დამთავრებამდე 7,1 წამით ადრე სამქულიანიც ჩააგდო და ზედიზედ მეოთხედ მოაგებინა ორლანდოს. შეხვედრა იმითაც იყო აღსანიშნავი, რომ შაკილ ონილმა თავისი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ ითამაშა და მან და ანდერსონმა ერთმანეთში რამდენიმე „ტკბილი“ სიტყვა გაცვალეს.

### ნიუ იორკი 94:74 ჰიუსტონი

**ნიუ [illegible] სტაოქსი (24)**
**ჰიუსტონი: დრექსლერი (16)**

კვლავ შეირცხვინა თავი ჰიუსტონმა, განსაკუთრებით კი ბარკლიმ, რომელმაც 13 სროლიდან 10 ააცილა და 7 ქულას დასჯერდა. ნიუ იორკმა ბოლო მეოთხედი 25:8 მოიგო, რაშიც ლომის წილი ვეტერანმა ჯონ სტარქსმა დაიდო. მან თავისი 24 ქულიდან 16 ამ დროს მიითვალა.



პორტლენდი — ბოსტონი. აწ ბოსტონელი კენი ანდერსონი (მარჯვნივ) პორტლენდიდან თავისი აბარგების მიზეზს — დეიმონ სტუდემაიერს გადაეყარა

### მილუოკი 79:71 კლივლენდი

**მილუოკი: რობინსონი (29), ალენი (20)**
**კლივლენდი: კემპი (20+10 მოხსნა)**

### სიეტლი 88:68 დენვერი

**სიეტლი: პეიტონი (17)**
**დენვერი: გოლდვაირი (18)**

### გოლდენ სტ. 82:90 მაიამი

**გოლდენ სტეიტი: მარშალი (28), დამპიე (22+11 მოხსნა)**
**მაიამი: ჰარდევეი (24+10 პასი), მურნინგი (21), ბრაუნი (20+14 მოხსნა)**

### პორტლენდი 121:96 ბოსტონი

**პორტლენდი: საბონისი (23+11 მოხსნა)**
**ბოსტონი: მერსერი (28)**

კენი ანდერსონმა ყოფილი თავისიანების წინააღმდეგ 14 ქულა და 8 პასი გაახერხა, მაგრამ საბონისთან და კომპანიასთან მაინც ვერას გახდა. საბონისს სამმაგ დუბლამდე ორი პასი დააკლდა. კარგად გაისარჯნენ აგრეთვე სტუდემაიერი (17 ქულა), ოგმონი (16) და უოლესი (14+10 მოხსნა). ბოსტონის ახალბედა რონ მერსერმა 28 ქულით კარიერის რეკორდი დაამყარა.

### ფილადელფია 92:97 ინდიანა

**ფილადელფია: აივერსონი (33), კოულმენი (20+11 მოხსნა)**
**ინდიანა: მილესი (25), სმიტსი (18)**

ფილადელფიის მწვრთნელმა ლარი ბრაუნმა თავისი ახალი გუნდი ძველის წინააღმდეგ გაიყვანა და დამარცხდა. ფილადელფიას ალენ აივერსონის 33 ქულამაც (23 მეორე ნახევარში) ვერ უშველა.

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთის კონფერენცია** | | | |
| ატლანტის დივიზიონი | | | |
| მაიამი | 37 | 18 | 67,3 |
| ნიუ იორკი | 31 | 22 | 58,5 |
| ნიუ ჯერსი | 31 | 24 | 54,6 |
| ორლანდო | 28 | 27 | 50,9 |
| ვაშინგტონი | 27 | 28 | 49,1 |
| ბოსტონი | 25 | 30 | 45,5 |
| ფილადელფია | 17 | 35 | 32,7 |
| ცენტრალური დივიზიონი | | | |
| ჩიკაგო | 41 | 15 | 73,2 |
| ინდიანა | 38 | 16 | 70,4 |
| ატლანტა | 32 | 23 | 58,2 |
| შარლოტი | 31 | 23 | 57,4 |
| კლივლენდი | 29 | 25 | 53,7 |
| მილუოკი | 28 | 26 | 51,9 |
| დეტროიტი | 24 | 29 | 45,3 |
| ტორონტო | 12 | 42 | 22,2 |
| **დასავლეთის კონფერენცია** | | | |
| შუა დასავლეთის დივიზიონი | | | |
| იუტა | 37 | 15 | 71,2 |
| სან ანტონიო | 36 | 18 | 66,7 |
| მინესოტა | 30 | 23 | 56,6 |
| ჰიუსტონი | 27 | 27 | 50,0 |
| ვანკუვერი | 14 | 40 | 25,9 |
| დალასი | 10 | 44 | 18,5 |
| დენვერი | 5 | [illegible] | 9,3 |
| წყნარი ოკეანის დივიზიონი | | | |
| სიეტლი | 41 | 13 | 75,9 |
| ფინიქსი | 37 | 16 | 69,8 |
| ლეიკერსი | 36 | 16 | 69,2 |
| პორტლენდი | 32 | 22 | 59,3 |
| საკრამენტო | 24 | 31 | 43,6 |
| გოლდენ სტეიტი | 11 | 42 | 20,8 |
| კლიპერსი | 11 | 43 | 20,4 |

## სუმო



# აკებონოს ცოლი მოყავს

ნაგანოს ოლიმპიადა ჩამთავრდა, მორიგი, გაზაფხულის ბაშო (ფალავნობა) კი 8 მარტსლა დაიწყება. ოლიმპიადა იაპონელებმა რიკიშებს (სუმოს მოჭიდავეებს) გაახსნევინეს, ასპარეზი დაალოცვინეს და მათთვის არც სხვაფრივ დაუკლიათ ყურადღება. რაც უნდა იყოს, ტანად ჩია ერს მთაკაცთა რაზმის ყოლა ფრიად ეამაყება და დანარჩენ მსოფლიოს სავიზიტო ბარათად წარუდგენს ხოლმე.

თამაშებზე დოჰიო (ავ სულთა დაფრთხობა) იოკოძუნა (ჩემპიონთა ჩემპიონმა) აკებონომ შეასრულა. გამოხდა სამი დღე და 28 წლის გამოჩენილი ბერბიჭა კვლავ უჩვენეს ტელევიზორში, ოღონდაც არა სუმოს სამოსში, არამედ პრეს-კონფერენციაზე.

გადაცემას მთელი ერი მოუთმენლად ელოდა. საჭორაო ტელე-შოუები კარგა ხანია ამტკიცებდნენ, ჩვენი აკებონო ცოლის მოყვანას აპირებსო. იმასაც ამბობდნენ, იოკოძუნას მავანი დარბაისელი ქალი დაუფეხმძიმებია და ახლა სხვა რა გზა აქვს, ირთავსო.

აკებონომ ტელე-აუდიტორიას განუცხადა, რომ ქორწილს შემოდგომაზე, სექტემბრის ბაშოს შემდეგ გეგმავს, 26 წლის კრისტინ-რეიკო კალინა კი ბავშვს მაის-ივნისის შესაყარზე ელის. იოკოძუნა ამჟამად 234 კილოს იწონის, მისი რჩეული კი იაპონელი ქალისა და ამერიკული სკოლის მნის შვილია.

არც აკებონოა წმინდა სისხლის იაპონელი. მეტიც, იაპონელი სულაც არაა, ჰავაელია. მისი საერისკაცო სახელ-გვარი ჩად როუვანია. 1993 წელს უცხოელთაგან პირველს მას მიენიჭა იოკოძუნობა, რაც სუმოს იერარქიაში უმაღლესი წოდებაა. 1996 წელს აშშ-ის მოქალაქეს იაპონიამ ნატურალიზაცია უყო.

აკებონო ერს გამოუტყდა, კალინას შევთავაზე, დარჩენილი წუთისოფელი ერთად ხომ არ გაგველიაო. ამაზე ქალს მორჩილად მიუცია დასტური. კიმონოში გამოწყობილიც საქმროს თან ახლდა. ამ დეტალს ტრადიციონალისტი იაპონელები ფრიად ყურადღებას აქცევენ, რაკი მიაჩნიათ, რომ ცოლი ყველგან და ყველაფერში მხარში უნდა ედგას ქმარს.

დასასრულ კალინასაც მოვუსმინოთ. იგი ამბობს, აკებონო სათუთი სულის გოლიათიაო.

რეზო ნემსაძე

## რაგბი

### ხუთი ერი

II ტური

ინგლისი 60:26 უელსი
შოტლანდია 16:51 საფრანგეთი

### პრეს-ანარეკლი

# უმოწყალო ინგლისმა გაიჯეჯილა

სათქმელი თავიდანვე უნდა ითქვას. ინგლისმა გადასარევად ითამაშა. მორკინალებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს ცნობილი სარაგბო ჭეშმარიტება, რომ თამაშს ზორბა ბიჭები იგებენ.

ამჯერად ინგლისის ფორვარდებს უხვად ქონდათ ყველაფერი, რაც საფრანგეთთან წაგებისას დააკლდათ. ძალუმად იგრძნობოდა აგრესია, მხეცური მძვინვარება. შერკინებამ უზრუნველყო პლაცდარმი, რასაც რეკორდთა სრვა მოყვა. ინგლისს ხუთ ერზე ამდენი ქულა აქამდე არასოდეს გაუტანია, უელსს კი ამჯერად იგივე დამართა, რაც ადრე იაპონიისა და კანადისთვის უქნია.

უელსი ეს უკვე მერამდენედ დამარცხა მაშინ, როცა გუნდისგან ბევრს მოელოდნენ. სტუმრების თამაში ხანდახან შაყირს გავდა. მოედანზე სახელიანი წითელი კვართი იმ მოთამაშეებსაც ეცვათ, რომლებსაც ქვეყნის ღირსების დაცვა ამიერიდან აღარ უნდა მიენდოთ.

უელსი შინ დანაღვლიანებული და შერცხვენილი გაისტუმრეს. მსოფლიო თასამდე 18 თვეღა რჩება, მაგრამ მასპინძლებს ჯერაც ვერ მოეძევებათ გუნდი, მასზე ღირსეულად რომ წარმოჩნდნენ. უელსს ყავს ოთხი მოთამაშე: გიბსი, ბეიტმენი, ჰაული და გ. თომასი. სხვაფრივ მისი არსენალი მწირია. აქედან გამოსავალი ერთი ჩანს. გაზეთებში განცხადებაა გამოსაქვეყნებელი: დავეძებთ დიდ, აგრესიულ, გაწაფულ, ჯიგრიან, პატრიოტ ვაჟკაცებს, რათა სამშობლო ღირსეულად წარადგინონ.

ამგვარი ბიჭები უელსს ინგლისთან არა ყოლია.

პოლ ეკფორდი,
„ტელეგრაფი“ (ლონდონი)

# ჩინებულმა მანმა საფრანგეთს უკვლია

საფრანგეთი როცა ასე თამაშობს, მას ვერ გაუძალიანდებიან არათუ შოტლანდია, არამედ მასზე ბევრად ძლიერი გუნდებიც.

სკოტები ძალისა და ჟინის დუღაბმა ალგავა პირისაგან მიწისა. ფრანგთა თამაში გასაქმებული პოეზია იყო.

კიდევ კარგი, სტუმრებმა ფოიერვერკი მოაწყვეს და მთელი თამაში თავი არ მოუკლავთ, თორემ მათ ცქერას ვერავინ გაუძლებდა. ასე იყო თუ ისე, მაყურებელს ფრანგთა ზურგებზე წარწერილი ნომრებისთვის თავი უნდა მიენებებინა, სხვებზე მეტად კი დაეხსომა ფლანკერი ოლივიე მანი, ვინაც ყველაფერი შეიძლო, ოღონდაც მის გუნდს 7 ლელო გაეტანა.

რუპერტ ბეიტსი, „ტაიმზი“ (ლონდონი)

# ფრანგები სტატისტიკასთან უზრად არიან

### რიცხვით-განჩხრეკა

ორივე მატჩი ახალზელანდიელებმა იმსაჯეს. სამხრეთში წესად აქვთ, მეტისმეტი ასოკირკიტობით თამაშს ხელი არ შეუშალონ. იქაური მსაჯისთვის ბურთაობის უწყვეტობა მიზანთა-მიზანია.

ინგლის — უელსის ტვიკნემის შებმაში სათამაშო დრო 42 წუთი გამოვიდა, შოტლანდია — საფრანგეთის მარიფილდის მატჩში კი 33. სამი წლის წინანდელ ტესტებში ეს მაჩვენებელი 25 წუთის მიდამოში იყო, რაც გვაფიქრებინებს, რომ გაპროფესიულება რაგბის სანახაობრივ მხარეს ძალიან მოხდენია.

ინგლისს ბურთი 26 წუთი ეპყრა, უელსს 16, შოტლანდია 15, საფრანგეთს 18. ინგლისს დრო არ დაუფლანგავს, ფრანგებმა მცირედითაც იხეირეს, რაკი ვირტუოზები არიან, შოტლანდიამ ყველაფერი დაანიავა, უელსი კი მეტოქეს რამდენიც მიეძალა, იმდენ ლელოს გამორჩა, მაგრამ მაინც უსიტყვოდ წააგო.

პროფესიული რაგბიდან მოლი რაკმა (უფრო „მინი“-რაკმა) განდევნა. ამ ხერხით შოტლანდიამ 60-ჯერ შეინარჩუნა ბურთი, ინგლისმა 46, უელსმა 45, ხოლო საფრანგეთმა 43-ჯერ. შოტლანდიას ძველ დროშიც რაკის მიმდევრის რეპუტაცია ქონდა, ფრანგი და ინგლისელი მოთამაშეები კი მეტოქეებზე ინდივიდუალურად იმდენად ძლიერები აღმოჩნდნენ, რომ წინსვლა იშვიათად უფერხდებოდათ ხოლმე.



ფრანგების გარემარბ ფილიპ ბერნა-სალს ისეთი აღნაგობა აქვს, რომ პიჯაკზე ვარდი უნდა ებნიოს და შანსონიედ მუშაობდეს, მაგრამ მაინც რაგბსა თამაშობს, ლელოები გააქვს და მათ თითებზე ითვლის

პრეს-ესოსიეიშენი მარიფილდიდან

მოლი დერეფნის მერელა შემორჩა. საფრანგეთმა ეს ხერხი 11-ჯერ იხმარა, ინგლისმა 9, შოტლანდიამ 4-ჯერ, უელსს კი ერთი მოლი რაა, მითიც არ უხეირია.

გაიშვიათდა დერეფანიც. მიუხედავად ამისა, ვინ მასში იძალებს, თამაშსაც იგი იგებს. ინგლისმა 14 დერეფანი მოიგო, საფრანგეთმა 13, უელსმა 7, შოტლანდიამ ოდენ 5. ტურის ორ თამაშში საკუთარი მოწოდება მხოლოდ ინგლისმა წააგო და ისიც საათის თავზე, როცა მოეშვა. მოკლედ, მხტომელისთვის ხელის შეშველების დაშვებამ ისა ქნა, რომ დერეფანიც, შერკინებისა არ იყოს, უმულამო გახდა. ჰოდა, რაგბიც შექცევლად მიექანება ძე ცთომილ ლიგისკენ, პროფესიული მასზე 100 (ასი) წლით ადრე რომ გახდა.

უპირატესობის ხაზი ინგლისმა 39-ჯერ გადაკვეთა, უელსმა 21-ჯერ. ამის შეტყობის შემდეგ ინგლისის დიდი გამარჯვება არავის გააკვირვებს. რაც შეეხება მარიფილდის თამაშს, მასში ამ მაჩვენებლითაც შოტლანდიამ იყოჩაღა 49-37, მაგრამ რად გინდა: იმდენად მრავლად ქონდა ტექნიკური წუნი და იმდენად უჭკუოდ თამაშობდა, რომ სამარცხვინოდ წააგო.

ბოლოს, ისიც სათქმელია, რომ ფრანგული რაგბის აღსაწერად რიცხვები ვერასოდეს ვარგოდა.

იუნისის-ის სტატისტიკა



ინგლისის შერკინებამ უელსისა წელში გადატეხა და ძალისმიერი ლელოც გაუტანა

როიტერი ტვიკნემიდან

## აფროსნობა

# ფოლკლენდის ოპერაცია



ჰორნის კონცხის შემოვლა ყველა ზღვაოსნის ოცნებაა

ოლ სპორტი „ინოვეიშენიდან“

### ვიტბრედის VII გარსაქვეყნო ნაოსნობა ვოლვოს თასზე

V სტადია. ოკლენდი (ზელანდია) — სან-სებასტიანი (ბრაზილია). 1 - 23 თებერვალი (6 670 მილი)

პოზიციები (ფინიშამდე გასაცური მანძილი + ჩამორჩენა) გრინვიჩულად 06:00 საათზე (* 18:00); # ბოლო 6 სთ საშ. სიჩქარე (კვანძებად)

| იახტა | დროშა | ქ | სკიპერი | 20-II | * 20-II | # | * 21-II | # | 22-II | 23-II | # |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ი-ეფ ლენგვიჯ | შვედეთი | 372 | პოლ კეიარდი (აშშ) | 1037.2 | 935.9 | 8.6 | 657.2 | 12.4 | 519.5 | 242.1 | 13.1 |
| ბრიუნელსანერჯი | ჰოლანდია | 96 | როი ჰაინერი | +643.7 | +573.6 | 15 | +511.6 | 16.3 | +464.9 | +467.1 | 10.2 |
| ჩესი რეისინგ | აშშ | 294 | დიი სმითი | +632.5 | +612.4 | 10.8 | +568.9 | 15.6 | +511.7 | +498.9 | 10.1 |
| სვიდიშ მეჩ | შვედეთი | 313 | გუნარ კრანცი | +626.6 | +617.2 | 9.6 | +558.2 | 17.8 | +529.9 | +552.7 | 8 |
| მერიტ კაპ | მონაკო | 333 | გრანტ დოლტონი (ზელ) | +626 | +621 | 9.1 | +560.9 | 16.4 | +540.5 | +560.6 | 8.2 |
| ტოშიბა | აშშ | 299 | პოლ სტენდბრიჯი (ბრიტ) | +629.3 | +622.6 | 9.3 | +573.3 | 17.6 | +556.1 | 575.7 | 9 |
| ინოვეიშენ კვერნერ | ნორვეგია | 307 | კნუტ ფროსტადი | +623 | +609 | 10.1 | +583.7 | 15 | +555.8 | +625.7 | 8.8 |
| სილკ კატ | ბრიტანეთი | 258 | ლორი სმითი | +1122.9 | +1218.9 | 0.9 | +1310 | 9 | +1337.3 | +1393.9 | 9.2 |
| ი-ეფ ედუკეიშენ | შვედეთი | 100 | ქ-ნი კრისტინ გიუ (საფრ) | +1805 | +1819.6 | 7.3 | +1922 | 7.2 | +1983.8 | +2100.4 | 6.3 |

Whitbread

პოლ კეიარდის „ლენგვიჯი“ V სტადიის ფინიშს დღეს, ჩვენებურად ნაშუადღევს უწევს და მონაგარს 135 ქულას შემატებს, მისი ტყუპისცალი „ედუკეიშენი“ კი, ეკიპაჟში მხოლოდ დიაცები რომ ყავს, სან-პაულუს ნავსაყუდელში 7 მარტს თუღა მიცურდება; თუ, რა თქმა უნდა, ამჟამინდელი ტემპი შეინარჩუნა.

უქმეებზე ფრიადი ამბები მოხდა. ამერიკის უკიდურესი სამხრეთი წერტილის, ჰორნის კონცხის შემოვლის შემდეგ „ლენგვიჯი“ თბილი, ძლიერი ქარით მიიწევდა ჩრდილოეთით, ხუთი მდევარი კი ფოლკლენდის კუნძულების დასავლეთით მაღალი წნევის არეში მოხვედრილი, თითქმის გაუძრავებული და გვარიანადაც გათოშილიყო. ამათი მარცხი მშვენივრად გაიაზრა მაჩანჩალა „ბრიუნელის“ ახალმა სკიპერმა როი ჰაინერმა, ბედს მიენდო და წყეულ ადგილს აღმოსავლეთიდან დაუარა.

ჰაინერს გაუმართლა. მართალია, თავიდან ოდენ ნიავს მიაგნო, მაგრამ მერე სწრაფად გააქროლა ნავი და მეშვიდიდან პირდაპირ მეორე ადგილზე გადასკუპდა. მერე შტილს ხუთეულმაც დააღწია თავი და ჰოლანდიელებს აედევნა.

ამასობაში კეიარდსაც გაურთულდა საქმე. „ლენგვიჯი“ იმოტოლა უპირატესობით ლიდერობდა, რომ რეკორდი გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ ერთკვირიანი გრიალის შემდეგ „ატმოსფერულ ქოთანში“ ლიდერიც ჩავარდა და ჩამორჩენილები ოდნავ წამოეწივნენ. სკიპერმა და მისმა ნავიგატორმა მარკ რუდიგერმა ნაპირს დააშორეს ნავი, მაგრამ წყლის ისეთ შემხვედრ დინებას გადააწყდნენ, რომ ოთხი საათის განმავლობაში წინ საერთოდ ვერ წაიწიეს. ელექტრონული ფოსტით ამაზე მოიწერა კეიარდმა, ჯადოსნური ხალიჩით ფრენა დამთავრდაო, თორემ შეფერხებამდე ხმელეთს სამი კვირით მოწყვეტილს თურმე ისლა აწუხებდა, ბილ კლინტონ — მონიკა ლევინსკის სკანდალი თუ რა სტადიაზე მისულიყო.

ანძაგატეხილი „სილკ კატი“ არგენტინის პორტ უშუაიაში მიცურდა. ბებერმა სკიპერმა ლორი სმითმა იქაურებს მოუთხრო, თუ როგორ მოესმა ორი ჭახანი. პირველი, სუსტი ანძის გადაწყდომას მოყოლია, მერე, ძლიერი კი გემბანზე მის დანარცხებას.

კვირას აქეთ ყველა ნავი რიგიან ქარშია. „ბრიუნელის“ მდევარი ხუთი ნავი მხარდამხარ მიცურავს. ფრონტის განი ბარემ 200 მილია. ეკიპაჟები ერთმანეთს ხედავენ და ხანდისხან ისეც უახლოვდებიან ერთმანეთს, რომ ნავში ქვა რომ ქონდეთ, მეტოქეს იოლად მიაწვდენდნენ. საცხრილო პოზიციებიც ყოველ 6 საათში იცვლება. მოკლედ, ვის რამდენი ქულა ერგება, ალბათ ზედ ფინიშზე გაირკვევა.

მიხო ნინუა

მშენებლობა დიზაინი რეკლამა
აკაცია Acacia
ჰორიზონტალური და ვერტიკალური ჟალუზები
დამცავი ჟალუზები
მარკიზები
ფასები გაგაკვირვებთ
ყაზბეგის 42 ტელ 375281 294840
e-mail dato@acacia.postnet.ge

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის
ორშაბათობით, სამშაბათობით,
ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
ზურაბ მეძველია
ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, ონისე შინჯიკაშვილი
სხვა სახეობათა განყოფილება:
გიო აზვლედიანი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე
კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე
სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, ლევან ჩხეიძე, გია ცარციძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29